

138 / 12 *ჩუბინაძე*

12  1914

საქართველო



1914

თბილისი, № 6. მოზრდილთათვის.

რედაქციისათვის.

ვისაც მთელი წლის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი და ათ იულიანზე არ შემოიტანს, ქურნად

„ნაკადულს“ გზავნა მოესწობა.

განყ.



№ 239

3726




ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, 101

მამას რა ღატყენია!..




ს ა რ ჩ ე კ ი.

I—მამას რა დარჩენია!—სურ.	1
II—გაზაფხულის დილაზე.—ლეკსი ო. მჭედლაშვილისა.	3
III—ჯაშუნი.—საბავშვო შიესა ორ მოქმედებად;—(დასასრუ- ლი) ნ. შაუვაშვილისა.	4
IV—ნათელა, ხალხური ზღაპარი,—კალექსადო (დასასრუ- ლი) დ. კასრადისა.	17
V—მინიონა, — (მთხრობა იფხროდენისა, გაკრძელება) თარგმ. გ. ღ—ძისა.	25
VI—ადამიანი,—ლეკსი ბ. ახოსშირევისა.	37
VII—საქართველოს შესანიშნავი ადგილები,—ო. ანაძისა.	39
VIII—ძვირფასი ნადირი,—(თარგმანი) ნ. ნავაძისა.	49
IX—ნაკადულის ფოსტა,—გრიგ. შუყვანძისა.	59
X—გასართობი: გამჭირიანი ინდოელი,—(თარგ.) აღ—ესი.	62



ტფილისი, ელექ. მბეჭდ. ა. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.

...საქართველოს ხელნაწილების სამეცნიერო ცენტრი



გაზაფხულის დილაზე.

გაზაფხულის დილაა,
დილა ბავშვებრ მლიმარი;
ზღვისკენ შიაკეს მდინარეს
ზამთარზე სამძიმარი.
ამ დროს გლოვა ცოდვაა,
ცოდვა მიუტყეები;
მიტომ სუფრულს ქაშობენ
მოვარდნილი ხეებზე,
ჩამწყრივებული მთებიც
ბანს აძლევენ, ხვივიან;
მათი ქალარა თვალით
შვების კრემლნი ცვივიან.
მეცა აღარას ედარდობ,
შვება მესალმუნება;
ტკბილად ვმღერი და ვხარობ,
ვით მშობელი ბუნება...

(იგივე გაზაფხულის დილაა, —
დილა ბავშვებრ მლიმარი;
ზღვისკენ შიაკეს მდინარეს
ზამთარზე სამძიმარი.)

ი. მკედლიშვილი.



ჯ ა უ უ უ ი.

(საბავშვო პიესა ორ მოქმედებად).

(დრამატული.)

მ ო თ ვ ე დ ე ბ ა II.

(იგაგე ითანა. გაკვეთილი არ გათავებულა).

- გიორგი. (ზეპირად აზრობს „დატყვევებულ არწივს“).
- ანიკო. „სხვებზედ პირდაპირ მიმსვლელი, თვით დაიქირეს ქურდულიად“ — რას ნიშნავს?
- გიორგი. არწივს პირდაპირ ვერ შევხვდებოდნენ ბრძოლას და ვერც დაიქერდნენ...
- ანიკო. მაშ როგორ?
- გიორგი. ალბად უჯაშუშეს... (სიცილი).
- ანიკო. (გაყვირება). უჯაშუშეს?! ვინ უჯაშუშებდა?
- გიორგი. რა ვიცი. — სოფელი დიდია!
- ანიკო. შექრო, შენ როგორა გგონია?
- შაქრო. მეც ვგრე გგონია, — ჯაშუში გასცემდა!.. (სიცილი).
- ანიკო. ვასო!
- ვასო. მეც ვგრე გგონია! (სიცილი).
- ანიკო. (იღიმება). ძალიან ერთ გუნებაზედა ხართ!.. შენ რაღას იტყვი, ილიკო?
- ილიკო. შეიძლება მძინარეს მიეპარნენ, ან რამე დაპირებით მოიტყუეს!

- ანიკო. ეგ უფრო ჰკვანხე ახლოა.
- ვახო. (წმობტება. ზირზე სიგლი აქვს მომდგარი). რა ენაზე მოატყუეს არწივი, როცა ჰპირდებოდნენ? (სიდიდა).
- ანიკო. (დამიღიო). რას იტყვი, ილიკო?
- ილიკო. ჯაშუშმა რაღა ენაზე ულაღატა? (სიდიდა). მართლა არწივზე ხომ არაა ლაპარაკი, — იგავია!
- ანიკო. (დამიღიამ). რას იტყვით, „ჯაშუშელებო?“ (გაორგი, შაქრო, ვასო თავდაღუხულები არიან. კლასი იფინის.) ე — ე, გაჯობათ ილიკომ!.. (სათს დახედაუს). სანდრო, დარეყე!.. (სანდრო გარბის). ეზოში ჩადით. (ზარი. შეგარდები გარბიან. ახიოც გაუა. შეფერხდებიან გაორგი, შაქრო, ვასო, ნიკო, რომლებიც შუბლ-შეკრულნი ვათომ წიგნებს ალაგებენ აბკებში.)
- გიორგი. (ჩრება). მაშ გავჩუმდეთ რაღა! — კლასი გულ-დან-დობილია, და მაგან-კი უნდა გვასმინოს!..
- ნიკო. რად გავჩუმდეთ, — უთხრათ!
- შაქრო. დაუძახოთ ამხანაგებს და გადავცეთ.

(შემორბის სანდრო და თავის მაგიდაში რაღაცას ეძებს).

- გიორგი. ახლა კარგი დროა, — აბა, შაქრო, დაუძახე!
- შაქრო. ახლავ! (გარბის).
- სანდრო. რად გინდა, გიორგი?
- გიორგი. აი ჩვენ ჰკუის კოლოფზე...
- სანდრო. ილიკოზე?
- გიორგი. მაშ შენ ხომ არა ხარ ჰკუის კოლოფი...
- სანდრო. თავი დაანებეთ.
- გიორგი. შენ რა მთელი კლასის წინააღმდეგ მიდინარ.
- სანდრო. კარგად არაფერი იცით, და იმიტომ!
- გიორგი. „არ იცით!..“



(შეგირდები შემოდინ ჯგუფ-ჯგუფად; დანტერესებული
სახე აქვთ.)

- შაქრო.** რა ამბავია?
- როსტომ.** არ ვიცი... შაქრო, რად გვეძახდი?
- შაქრო.** გაიგებ... უნდა გავასამართლოთ.
- როსტომ.** (შაქროს). უნდა გავასამართლოთო.
- შაქრო.** ვინ?
- როსტომ.** არ ვიცი.
- გიორგი.** ყველანი არიან?
- შაქრო.** თითქმის.
- გიორგი.** ის სადღაა?
- შაქრო.** ისა და ივლიანე ქვებზე სხედან და ლაპარაკობენ.
- გიორგი.** ჯერ ნუ შემოუშვებთ...
- სიმონა.** რას გვეძახდით?
- გიორგი.** მოიცა... ახლავ... აი, ამბანაგებო, ჩვენ კლასში
ჯაშუში აღმოჩნდა.
- ხმები.** ჯაშუში?..
- გიორგი.** შუში გატყდება, მაგიდა გატყდება, სიტყვა რამ
ითქმის,—მასწავლებელმა მაშინვე იცის!.. საიდან;
თუ ჯაშუში არ გვირევიან?!
- ხმები.** რასაკვირველია!
- შაქრო.** გახსოვთ, ამ წინაზე სიმონამ რომ შუში გატყდა,—
მაშინვე გაიგო მასწავლებელმა!
- ხმები.** ჰო, ჰო!..
- გიორგი.** ჰო და ეს ჯაშუში ახლა დავიჭირეთ!
- ხმები.** დავიჭირეთ?! ვინ არის?..
- გიორგი.** ილიკო!
- გაკვირვებული ხმები.** ილიკო?! (სიჩუმე).
- ხანდრო.** მე არა მჯერა!..
- თარიოდე ხმა.** არც მე, არც მე!..

- გიორგი.** უური მიგდეთ!.. გუშინ რომ აქ ჩხუბი მოგვეფიდა, მერე ყველანი კარში გავედით, — დარჩა მარტო ილიკო. ცოტახანს უკან კლასში შემოსულა აი შაქრო და უნახავს, რომ ილიკო მასწავლებელს ჭეშმად ელაპარაკება... მასწავლებელს შაქრო არც-კი შეეშვა კლასში. მერე, თქვენც იცით, მასწავლებელმა დაგვიძახა და ყველაფერი გვითხრა! ახლაც არა გჯერათ?!
- ხმები.** ცხადია, ცხადია!.. უჯაშუშნია!..
- სანდრო.** იქნება გუშინ ილიკომ უთხრა, მაგრამ სხვები-კი არა მჯერა!..
- ვასო.** თუ გუშინ დაგვასმინა, წინადაც ეგ იქნებოდა!
- ხმები.** ეგრე იქნება, ეგრე!..
- შაქრო.** (სანდროს). თუ ეგ არა, მაშ უნ დაგადოთ ხელი?! ან ამას? ან ამას?!
- სანდრო.** რა საბუთით?
- შაქრო.** ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ საბუთი არა გვაქვს!.. ილიკო-კი ზედ დავიჭირეთ!
- ყველანი.** ილიკოა, ილიკო!.. (სანდროს განზე გადა და განცალკევებით ჯდება).
- გიორგი.** მაშ რა უყოთ ილიკოს?
- ხმები.** შევაჩვენოთ!.. გავდევნოთ!
- გიორგი.** დაუძახოთ?
- ხმები.** დაუძახოთ, დაუძახოთ! ახლავ!
- გიორგი.** მასწავლებელი სად არის?
- შაქრო.** ღურგალის ჩაჩოებს აჩვენებს.
- გიორგი.** მაშ აბა დაუძახე ილიკოს. (შაქროს გარბას).
- სანდრო.** ჯერ გაიგეთ, იქნება დასამალი არაფერი აქვს და პირდაპირ გითხრათ!
- ვასო.** არა, არა, — ისე დაუწყო ლაპარაკი, ვითომ არც-კი ვიცით, ვინც დაგვასმინა!



ხმები. ჰო, ჰო! ვნახოთ, რას იტყვის!

სანდრო. ძალიან კარგი!.. ეგრე უფრო შეეგმნევა, ჯაშუშია, თუ არა; ვინდათ, მე გამოვეკითხავ, — შორიდან დაუწყებ ლაპარაკს...

ხმები. კარგი, კარგი!.. სანდრომ, სანდრომ ჰკითხოს!..

(შემოდის მამრო, ილიკო და ივლიანე. ეველანა მათ მიაჩრდებიან. ილიკოს და ივლიანეს ვერ ეკუთვიათ, რამაი საქმე).

სანდრო. (მეუხადოჯება ილიკოს). აი, ილიკო და ივლიანე; ჩვენ კლასში ვილასს ჯაშუშობა დაუწყია. გატყდება რამ, — მასწავლებელმა მაშინვე იცის; და აშავებს ვინმე რასმეს, — ამასაც მაშინვე შეიტყობენ!.. ერთი სიტყვით, ეჭვი გვაქვს, რომ ვილასი გვასმენს მასწავლებელთან და გეინდა აღმოვაჩინოთ, — ვინ არის მამბეზლარა!.. თქვენ ხომ ეჭვი არავიზედა გაქვთ?

ილიკო. | არა!
ივლიანე. |

სანდრო. აი, მაგალითად, კედელზე რომ ჩიბუხიანი კაცი დახატეს, — მაშინვე გაიგო მასწავლებელმა. — გუშინი არავიზედა გაქვთ?

ილიკო. | არა!
ივლიანე. |

სანდრო. სიმონამ რომ ფანჯარა გატეხა?

ილიკო. ეგ მე უთხარ მასწავლებელს! (ეველანა უმჯობესად შეინძრევან და კრამხნეთს გადაჰქუჯავენ).

სანდრო. რათ უთხარ?

ილიკო. იმიტომ, რომ უნდა მეთქო! მთელი კლასი განუბდა, მასწავლებელმა გოგის დაადო ხელი, — ეველანაზე ანცი ხარ და ეს შენი ოინი იქნებაო! ვილასამ კვერიც-კი დაუკრა! — სიმონაც განუგებული იყო!



გიორგი. შენ ვინა გკითხავდა!

ილიკო. მე არ ვინა შეკითხავდა, მაგრამ, როცა გოგოას მამა დაიბარეს და უბრძანეს შუშა ჩაესვა, გოგოა ტიროდა, არწმუნებდა — შე არ გამიტყუებიაო. ვეღარ მოვიტოვინე და სიმონას უთხარ, შენ თვითონ გამოუტყდი მასწავლებელს, თორემ მე თვითონ ვეტყვი მეთქი!.. ასე არ იყო, სიმონა?

სიმონა. (თაკ-დახრიალი). ჰო!

ილიკო. თქვენ ყველანი გაჩუმდით. სიმონა გაჩუმდა, გოგოას მამას-კი ტყუილ-უბრალოდ ფულს ახდევინებდნენ. — შემეცოდა და უთხარი!.. (საჩუქე. მოწაფეკობა ჩურჩულდებენ).

სანდრო. გუშინ როგორღა გაიგო მასწავლებელმა, ივლიანეს რომ წიგნი დაუხიეს, — ხომ არ იცით?

ილიკო. როგორ არ ვიცი: ეგეტ მე უთხარი! (შეგონებები უკმეუთფილებს მთარაობა).

გიორგი. (ანჩხლად). შენ ვინა გკითხავდა, თუ მეტიჩარა არა ხარ?!

ილიკო. თქვენ ისე იყავით გაბრაზებულნი, რომ დანებითაც დაემუქრენით ერთმანეთს. ზითაი.ის შემეშინდა... მე.

შაქრო. ისე დღე არ გავა, რომ ერთმანეთში ჩხუბი არ მოუვიდეთ, — მაშ ირბინე და ასმინე ყველანი!..

ილიკო. მე... ისე ვითქვარე, რომ უნდა მეთქვა... (ოტფხმად)

გიორგი. იფიქრე! შენ ჯაშუში ხარ (და სხვა არაფერიც. მამბეზლარა!..)

ხმები. მართალია!.. მამბეზლარა!.. ჯაშუში!..

გიორგი. ჰო და — აი ამხანაგები ჯაშუშადა გთვლიან და ჩვენთან საერთო აღარა გაქვს-რა!..

ხმები. მართალია, მართალი!.. (იანჯვამ მთავარს) ...

გიორგი. ჯაშუშს-კი პირში აფუთხებენ — ფუი! გაცეცალოთ, ამხანაგებო!.. ფუ!.. (ყველანი აფურთხებენ და კადანს)

- ვეარილით: — „ჯაშუში! ჯაშუში!“ იდევს კამშრალი დეას; მასთან რჩებიან ადლიანუ და სანდრო).
- სანდრო. (იდევას მხარზე ხელს დაადებს). ილიკო, მე არა მჯერა, — ცილი დაგწამეს!.. (იდევს ტირილით შავიდაზე დაუშობა).
- ივლიანე. (შეკითხვად). ეს სულ იმათ მოაწყეს, — რასა სტირი!..
- ანიკო. (სცენას გარედ). რა ამბავია, რას ყვირით!.. (გარედ ვეარილი შესწუდება. ანიკო შემოდის).
 რად სტირის ილიკო?! (სჩიქვს). არ გესმით?! (იდევას თავს აუწევს, მაგრამ ის არა ნებდება და ტირის). არ იტყვი, ბიკო, რა მოგივიდა?! (სანდროს და ივლიანეს). ხომ არა სცემს?
- სანდრო. } არა, არ უცემით.
 ივლიანე. }
- ანიკო. მაშ რასა ტირის?! ეჭვი არ არის, რაღაც მომხდარა, თორემ ილიკო უბრალოდ არ იტირებდა!..
 ივლიანე?
- ივლიანე. (უაქშიათ). გასამართლეს!..
- ანიკო. ვინ, რად?
- ივლიანი. ამხანაგებმა, მანათლ ნორ, დეგ რა ცუფ ესი...
 ანიკო. რაზე. ცემისა თუ ცემირი წამ — დევირ
- სანდრო. ჯაშუში ხარო? ნორ დევირ ესი...
 ანიკო. (გაოცებულად). ჯაშუში?!.
- ივლიანე. გუშინდელი გაბრაზებული არიან და ჯავრსა ყრილობენ.
- ანიკო. მითომ, ვისთან ჯაშუშობო?
- ივლიანე. თქვენთან.
- ანიკო. (ძალიან ნაწყუბია). ჩემთან?!.
- ივლიანე. სიმონამ რომ ფანჯარა გატეხა, — შენ დაასმინეო. მაგიდის გატეხა, კედლების მოსვრა, გუშინდელი ამბავი — სულ შენა ხარ დამსმენელიო!..



სულეციანთაგან არცა ღვიფხუად ითუხმეტლმო

ანიკო. — უინა სდებს მაგის ბრალს? — იქნებ წაქ

სანდრო. — კლასი. — კლასი მტარს იმ თამბაქოზე იმ

ანიკო. — მწიფოში?! არა მგონია?... — მისი მტკიცე ი

ივლიანე. — არა, ბატონო, ოთხმა რომ სიტყვილი კამა, იმათ
— მონისა ვადიბირეს მთელი კლასი, თვარა ილიკოზე ეჭვი
არავის არ ჰქონდა!

სანდრო. — დიდი, იმათ გააბრიყვეს სხვებიც.

ანიკო. — შერე?

ივლიანე. — პირში აფურთხეს, — ჩვენი ამხანაგი აღარა ხარო!

ანიკო. (დაფიქრებული). — ვგრე? (მტკიცედ). — ნუ სტირი, ილიკო:
შენისთანა ადამიანს ღიდებშიაც ბევრსა ჰყავს მტე-
— რი! აიწი თავი!.. ვინც სიპართლეს მისდევს, არა-
— ღირსა არ უნდა ეშინოდეს და გულიც მაგარი უნ-
— და ჰქონდეს!.. (აღერსიანი დიმიდით). — არც ცრემ-
— ლები ჰშვეწის ასეთ კაცს!.. სანდრო, დაუძახე უვე-
— ლას... შეც ახლავ მოვალ... შენც დაჯექ, ილიკო.
(გადის, სანდრო დასაძახებლად კარბის; ილიკო და ივ-
— ლიანე თავიანთ ადგილებზე სხდებიან, ცოტახანს შემდეგ
შემოდის მთაწაფეები, ჩურჩულებენ და თავიანთ ადგილებს
— იტყრენ. ვეკლანი შეიკრიბებიან. მთაწაფეებლის მოლო-
— დინში საიდუმლოდ ერთმანეთს ეჩურჩულებიან და თავადს
— უჭერებიან. შემოდის ანიკო; ხელში წიგნი უჭირავს, და-
— ვჯექო თავის შავიდასთან, ხელებზე თავს დაიერდნობს
— და ადგილებზე დაწუბებს ვერ ახერხებს).

ანიკო. — ერთი... პატარა ამხანაგი... მინდა წავიკითხოთ... (სი-
— ჩუმე, ხელ-განახულები სხედან). — ერთმა ხანს-გადასულ-
— მა ხელმწიფემ თავისი სამეთო სამ შეიღოს გაუყო;
— ფიცი ჩამოართვა, რომ მშურ ერთობა-განწყობილე-
— ბას არ დაარღვევდნენ და სახელმწიფოს განსა-
— ცდელში არ ჩააგდებდნენ. მრჩეველ-დამრიგებლად-კი
— მიუჩინა მათ გამოცდილი, ჰკვიანი და მამულისთვის
— თავ-დადებული ვეზირი როსტევიან...

მოხუცებული ხელმწიფე ჩქარა გარდაიცვალა და სამ ნაწილში გამეფდა მისი სამი შვილი. მკვიდრი ერთობით მათ კრბჯა შეუკრეს მტერს და ზარი დასცეს გარსშემორტყმულ მეზობლებს. ერთგული როსტევენი-კი შუაში ედგა სამს ძმას და მისი ბრძნული ხელი თავს დასტრიალებდა სამშობლოს...

გავიდა დრო... ბევრმა წყალმა ჩაიარა... და ჩაჩანაკდა როსტევენი და ეს ბებერი ლომი ღიმილით შესსქეროდა აყვავებულ სამშობლოს...

გაიზართა ერთხელ ჩვეულებრივი ღზინი-მეჯლისი, ჯირითი, ნადირობა... უმცროსმა ძმამ მოჰვინა ტყე-მინდორი დახოცილ ნადირის გროვებით... უფროსი ძმები-კი, — ალბად ეშმაკი უკრავდათ ისარს ხელს, — მთლად შერცხენენ!.. შესწყდა ნადიმი, სიმზიარულე... შუბლ-შეკრული ძმები წავიდნენ-მოვიდნენ... ჩაჰკიდა თავი როსტევენი და აღარ ილიმებოდა...

იძროჰელა შურვა: ამოჰყო თავი აქ, გამოჰყო კლანქი იქ, და ძმები მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ... დაივიწყა როსტევენი უძლოური ხნიერება და ცხენზე დაკრული გადადიოდა ძმიდან ძმებთან: არიგებდა, ამშვილებდა, მუხლ-მოდრეკილი შერიგებას ევედრებოდა. მაგრამ შური ძლიერი გამოდგა და თავ-დადებულ მოხუცს პანდურით ისტუმრებდნენ სასახლეებიდან...

გაიღესა ხმალი, მოიშხამა ისარი და ძმამ გადასწყვიტა ძმის სისხლის დაღვრა, — ომი, შურისძიების უღმომბელი ომი კარს ადგა სამს ღვიძლ ძმას!..

უკვე ჰაერში ეკიდა ბრძოლის ყიყინა, მაგ-

რამ... გაისმა უფრო საზარელი გრგვინვა: სამი ძმის დაუძინებელი მტერი სამი მზრიდან მოსდგომოდა მათ შესამუსრავად! და, რაც უფრო ზარ-დამკვები იყო,—სამშობლოს სამსახურში დაბერებული როსტევან, ძმებისგან პანლურ-ნაკემი, შეურაცხყოფილი გასდგომოდა ახლა მათ, ჩაეგონებინა მტრისთვის, რომ სწორედ ახლა—ძმების შუღლის დროს—ადვილია მათი დაპყრობა...

შურით დამთვრალი ძმები გამოერკვივნენ ეშმაკის ჯადოს, გაუწოდეს ისევ ერთმანეთს ხელი და დაღესილი ხმლები მტრის თავზე შეგპრიაღეს! დასჩებეს, სდევნეს, მუსრი აღინეს და გულს მოწოლილი ბრძოლის ტინი მებად დასცეს მოსეულთა ჯარს...

ისევე ლბინა, ძმური ნადიმი, გამარჯვებული ლაშქრის სიმღერა... მხოლოდ დრო-გამოშვებით ისმოდა მგრგვინავი შეჩვენება სამშობლოს მტრისა—განდგომილი როსტევანისა...

გახურდა ლბინი... ყანწი ყანწსა სკელის, სიმღერა-სიმღერას... სამს ძმას, ხელმწიფეს და მათ დიდებულ ამაღას როსტევანი აღარც-კი ახსოვთ; მისი ლალიტი აღარ უღრუბლავთ გამარჯვების ლბინს... აივსო კვლავ ყანწი ახალი სადღევრძელოს წინ და... ამ დროს წამოდგა ფეხზე მთავარსარდალი—როსტევანთან ძმად გაფიცული—მასსავით მოხუცი, მასსავით ბებერი ლომი... ლბინი ჩაჩუმა მის სიტყვის პატივსაცემლად... «დიდებულნი შეფენო!» დაიძახა რიხიანად მთავარ-სარდალმა: «ეს წერილი ჩამაბარა ძმად-გაფიცულმა როსტევანმა სამშობლოდან გაქცევის წინ და დამავალა ვადმოგვით იმ წამს, როდესაც თქვენი გამარჯვების ლბინი უმაღლეს წერტილს მიადწევდა!» ამოიღო



ქართული მეცნიერებათა აკადემია

უბიდან დაბეჭდილი წერილი და გადასცხ...
 მას... შუბლი შეეკრათ იქ შყოფთ და სამმა ძმამ
 შრისხანედ შევხედეს თავხედ მოხუცს... ხელმწიფემ
 ანიშნა; საბქოს პდივანმა ვახსნა წერილი და წაიკი-
 თხა: „ღიდებულნო მეფენო, ძვირფასნო შეილნო!
 სიკვდილის წინ ღმერთმა მომასწრო სამშობლოს
 უბედურობას: ძმა ძმაზედ ამხედრდით, შერიგება ვერ
 მოვახერხე; სამშობლო ილუბებოდა. ერთი-ღა დამრ-
 ჩა: გილალატო, ავამხედრო თქვენზე მტერი, რო-
 მელიც კვლავ შეგაერთებთ და თვითონ-კი სასტი-
 ცად დამარცხდება, — მწამს და ვევედრები ყოვლად
 შემძლე უფალს: მე ველარ ვიხილავ სამშობლოს
 გამარჯვებას, თქვენს ახალ მომბას და გამწარებული
 მტერი ჩემზე იყრის თქვენს ჯავრს! მშვიდობით,
 ღმერთი იყოს თქვენი ერთობის მფარველი!.. სა-
 მშობლოს მოღალატე როსტევან.“
 შესწყდა ლხინი... სიზზიარულით აწითლებულ
 სახეს ფერი ეცვალა... იმართული — ყანწი ხელში
 გაშეშდა... სამარის სიჩუმე ჩამოვარდა.. უფროსი
 ძმა აღშფოთებული წამოდგა და იკითხა: „სად არის
 ახლა როსტევან?“ მთავარ-სარდალმა უპასუხა: „მო-
 უხმეთ, ტყვედ წამოყვანილ ახმედ-ხანს და ის გაუ-
 წყებთ.“ ფიცხლავ მოიყვანეს ახმედ-ხანი. „რა იცი
 როსტევანზე?“ ახმედ-ხანმა უპასუხა: „თავი მოჰყე-
 თეს!“.. წამოიშალა ელდა-ნაცემი მთელი ამაღა და
 გაფითრებულ სახეზე სასოებით ჯვარი გამოისახა...
 ათი წამის შემდეგ ვაისმა გლოვის ზარი, და
 შემოსილი მეფე — ამაღა — ლაშქარი პირქვე
 დამხობილი ავედრებდა ღმერთს მამული შეილის რო-
 სტევანის სულს!.. საგ შელოურონის ან
 იპენი საფეორობ, მანწი იფეგონ
 სფეფუინ ქუატრეწ, ძეფთაწ, იმბათ

(სინუშე დადხანს. მაგირდება ჯერ გაქეშებულნი რსებიან; შემდეგ აქა-იქ ოღნავ შეინძრვიან და შმაქედ ამოასუნთქებენ).

ანიკო. (წამოდგება.) რა კაცია როსტევან?

ალტაცებული ხმები. დიდებული! დიდებული!..

ანიკო. მას-კი სწყევლიდნენ, როგორც სამშობლოს მოლა-
ლატეს!.. (სინუშე.) სიმონა! (სამონა წამოდგება) უშენ
რომ შუშა ვასტეხე, ვინ იცოდა?

სიმონა. (კლასზე). ყველამ.

ანიკო. რომელი გატანდა ძალას, — სიძარბოლე სთქვი, თო-
რემ გოგის ახდევინებენო?

სიმონა. ილიკო!..

ანიკო. ვანო!.. (ვანო ადგება). მეზობლის დიდმა ძაღლმა
რომ ჩაგიგდო ქვეშ, ვინ იყვნენ მაშინ იქ?

ვანო. გიორგი, შაქრო, ვასო, ილიკო — ბევრნი!..

ანიკო. რომელი ეცა გააფთრებულ ძაღლს და გაგადე-
ბინა?

ვანო. ილიკო!

ანიკო. ივლიანე! (ივლიანე ადგება). გუშინ რომ ოთხნი მო-
გესივნენ, ვინ წამოგეკომაგა?

ივლიანე. ილიკო!

ანიკო. ერთმანეთს რომ დანებით დაემუქრეთ, ვინა მთხო-
ვა ხიფათი ამეცდინა თქვენთვის? — ილიკო!.. (სი-
ნუშე.) აქ მოდი, ილიკო! (ილიკო დარტხვინით გადის.)
აი, ამ ილიკოს კლასმა ჯაშუში დაარქვა და ამზა-
ნაგობაზე უარი უთხრა!.. მე-კი მგონია, ილიკოს
რომ შესაფერი გარემოება ერთყას, როსტევანისთანა
კაცი დადგებოდა. — მოიტა შენი ხელი, ილიკო!
(მაგრად ხელს ჩამოართმევს). ვინც კიდევ ფიქრობს,
რომ ილიკო ჯაშუშია, ხელს ნუ გაუწვდის... (გავა).



(დუმილი. მთელი კლასი თავ-დახრალი დგას. ილიაკოტ გუგუნიანი მუცელზე დაიდგინა მუცელი და წინწკით დაბლა იუყრება. სანდრო შივა და შეკობრულად ხელს ჩამოართმევს; შემდეგ იელიანე. ამათ მიტყუებიან დანარჩენნი. გიორგი, ვასო, შქრო და ჩიკო თავ-დახრილები დგანან და არ მიდიან. მთელი კლასი მათ შესტყერის).

სანდრო. გიორგი! (საჩუქე).

მთელი კლასი. გიორგი!

(გიორგი შეინძრევს; თავ-დახრილი შივა ილიაკოსთან და ხელს ჩამოართმევს. ვასო, შქრო, ჩიკოც მიდიან ილიაკოსკენ).

(ვიდრე ყველანი გაათავებენ მისალმებას, ფარდა დინჯად დაეშვება.)





ნ ა თ ე ლ ა .



XXI



მასობაში ნათელა
 დაბრუნდა თავის ბინაზე.
 იცვალა ფერი, ძველ სახით
 ფეტვს კრება უწყო მიწაზე.
 მოვიდნენ დებიც. ერთ ამბით
 უთხრობენ ამბავს დედასა,
 თუ რა ენახათ, ან რატომ
 მოეკლა ორივე სევდასა.
 „ოჰ, რა არ ენახეთ, დედილო;—
 უთხრეს მას შწარე მოთქმითა,
 გულს უწურავდათ ნალველი,
 წამლა-უწყუმი ოხვრითა.
 მზეთუნახავი გამოჩნდა
 ზედ შუა ღმერთის დროსაო,
 სხივთა ტალღების მფრქვეველი,
 ჰგვიანდა პირ-ნათალ ბროლსაო.
 ეჰ, სადღა ენახათ იმის მზგაეხს,



ყველანი გაგვიფასაო,
 მას ვერ მივწვდებით, თუნდაც რომ
 თავი ვახლოთ ქვასაო.
 ფეხი... მის ფეხი, დედილო,
 ჰგვანდა ჰაერის ნავსაო,
 პაწაწა ქოში, ნარნარი,
 სჯობდა ალმასა ცვარსაო.
 ახლა მის ცეკვა!.. ოჰ, ღმერთო,
 რას ვნახავთ იმის მზგავსსაო,
 ისე ნავარდი თუ ძალუმს
 ანგელოზების ფრთასაო.
 სურათმა ყველა მოგვჩიბლა,
 და იქვე მიგვიძინაო:
 რა მოხდა, ველარ გავიგეთ,
 ის სად ვინ გააფრინაო.
 ესლაა, ვგონებ სიჩქარით
 დაჰკარგა ოქროს ქოშიო,
 გასაოცარი ნიშუში
 ამ ჩვენს უგვიანო დროშიო.
 ახლა ის ქოში თან დააქვთ,
 ეძებენ გამქრალ მზესაო,
 უნდა იპოვნონ, მიჰგვარონ
 კარზე კვლავ მეფის ძესაო.
 თუ რომ პაწაწა ფეხები
 მოეცა ჩვენთვის ღმერთსაო,
 იქნებ გზა-კვალი გაგვხსნოდა,
 არ დაემდუროდით ბედსაო.
 მაგრამ არ გვწყალობს, რას ვიზამთ,



იგი არ გვიჩანს კრაქათო,
 ესლა—ერთ-ერთს ქუსლები
 ორთავემ დანით დაეკრათო.“
 და მართლაც: უმალ ქუსლები
 დაიკრეს დებმა ვავლახით,
 იქ-კი კუთხეში ნათელა
 კედებოდა სიცილ-ხარხარით.

XXII

ამ დროს კარი შემოიღო
 და გამოჩნდა მეფის ვაჟი,
 დარდსა უდროდ ჩაშოედნო
 გუშინდელი ლომ-კირ-კაჟი.
 დედოფალმა მისთავაზა
 ზედ ღრუბელთან პურ-მარილი,
 მაგრამ შეკრთა, როს შენიშნა,
 რომ დაიწყო ყრმამ ტირილი.
 „ეჰა, ტკბილო დედოფალო,
 სიყვარულის მონა ვარო,
 თუ აქ არის ის ფრინველი,
 ჩემი მხსნელი შენა ხარო.
 სიზმარსავეთ მომველინა,
 ველარ ვპოვებ მის კვალსაო,
 ცეცხლი მწვავს და ცეცხლი მადნობს,
 ვერ ვიშორებ მის აღსაო.
 ვეძებ, მაგრამ ვერსად ვპოვებ,
 ცამ ჩანთქა თუ მიწამაო,



ყველას ვევედრი, გზა მაჩვენონ,
 მაგრამ არვინ მიწამაო.
 დილით აქეთ თეთრი მტრედი
 გამომიძღვა ფრენითაო,
 რაღაც ნიშნებს ვომაწვდიდა
 ფრთეთ უცნაურ ქნევითაო.
 თქვენს სისახლის წალკოტის წინ
 სამჯერ შემოუარაო,
 დედოფალო, გვითხარ სწორი,
 ის აქ არის, თუ არაო!
 გვაჩვენევი მზის ასული,
 ნულარ გადაგვიმალავო,
 აი ქოშიც, შეამოწმე,
 მეტი ძებნით ნუ გვალავო!“

XXIII

თითქმის ცაის ასწვლებოდა
 დედოფალის სიხარული.
 ადგა და სწრაფ წარუდგინა
 ჯერ უფროსი თვის ასული.
 ვაჟმა ის რომ დაინახა,
 მოარიდა ზიზლით თვალი,
 „არ წაეყვან, არ წაეყვან,
 თუ არისო ეს ის ქალი.“
 მაგრამ უცბად გაიფიქრა,
 იქნებ ფერი იცვალოსო,
 ადგა, ქოში გადაუგდო,

აბა ფეხზე ჩაიცივასო.
 და საბრალო ქუსლ-მოკრილიც
 დაეკიდა ოქროს ქოშსა,
 ნატკენ ქუსლზე იფარებდა
 თვის სარტყელის ოქროს ფოჩსა.
 მაგრამ ფეხი არ გადედგა,
 რომ წრუწუნამ გაირბინა;
 ეშმაკური კუდის ქნევით
 უღვაშ ქვეშით ჩაიციინა:
 „გატყუებენ, გატყუებენ,
 დაიხედე, შეფევე, ძირსო,
 აბა ერთი შეეკითხე,
 თუ ეგ სისხლი რად დასდისო!“
 ეს კი ვეღარ მოითმინა
 ქალმა, ქოში გარხადა,
 თავეს ესროლა, მის სიკვდილი
 ბრაზ-მოსულმა დაიქადა.
 მოჰყვა ტირალს. მეფის ვაჟსა
 პირ-უკულმა გაეცალა,
 ნათელას-კი კვლავ კუშკკუქის
 ტიკპორა ვერ დაეცალა.

XIV

თითქმის იგივე განმეორდა
 მეორე დის საბრალო თავს.
 ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც
 ვერ გადურჩა წრუწუნა თავს.



ისიც სწრაფად დაიბეზლა:
 „შებე, შებე, სისხლი სდისო,
 შენი ბედი სულ სხვა არის,
 თუმცა იგიც აქ გიციდისო.“
 შეკრთა ვაჟი: „სხვა ვინლა?
 თქვენ იმ ასულს მიმალავთო.
 თუ ასეა, იცოდეთ, რომ
 ჯოჯოს ზურგზე დაგაკრავთო.“
 —სხვა ჩვენ არ გვეყავს, ვაეთრიე!
 შეუძახა დედოფალმა,
 და ვაჟის თავს ელვარება
 იწყო მისმა წყრომის ხმალმა.
 წრუწუნა-კი არ სცხრებოდა:
 „სტყუის, სტყუის, აქ არისო,
 გაიხედე, მარგალიტს ჰკრებს,
 ბუხრის გვერდით ობლად ზისო.“
 მართლაც, კუთხე აციმციმდა,
 გადმოფრინდნენ წამს მერცხლები,
 ლალის თელებად გადმოცვივდა
 მუგუზხალის ნაპერწკლები.
 მერცხლებს მოჰყვა პეპელთ გუნდი,
 ფრთით ზიდავდნენ ყვავილთ მტვერსა,
 მარგალიტად მოასხავდნენ
 ჩვენს ნათელას ბროლის ყელსა.
 კვლავ ცის ასულს დაემზგავსა,
 მოციმციმე ცისკრის სხივსა,
 ფეტივი ეჭვა გაუნდად,
 თვითვე ჰკინძაქ ალმას მძივსა.

ცამ მოპზიდა სხივო ისრებით
 ცისარტყელას შვიდი ფერი,
 მის სამოსში გამოპკევალთა
 ზეციერად მიწიერი.
 ვაემაც აღარ დააყოვნა,
 მასში იცნო მზის ასული,
 გაჰქანდა და გულში ჩაკრულს
 საწილნედა მისცა სული...

XXV

იქნებ მკითხოთ, მეგობრებო,
 რით დამთავრდა ყველა ესა?
 რა თქმა უნდა, დიდ ქორწილით,
 ვფიცავ მამიჩემის მხესა.
 ვაეი ახლაც ტახტზედა ზის,
 თაყვანსა სცემს ყველა ერი,
 ჯერ ქვეყანას არ უნახავს,
 მეფე მასზე ბედნიერი.
 მას ნათელი მხარს უმშვენებს,
 ია არის, ვარდი ცისა;
 ის—ბულბული, ხან-კი ცვარი
 იმავ ია და ვარდისა.
 მხოლოდ ორნივე მოშურნე და
 კოკლობენ და ბერდებთან;
 მათ საქმრონი ჯერ-ჯერობით
 ამ ქვეყანადა არ ჩნდებიან.
 ჰო, ისიც სულ დამავიწყდა:

იმ ქორწილში მქონდა წილი,
 ბევრი ყანწი გამოვცალე,
 შევიქენი კვლავ ყმაწვილი.
 სიმღერას ხომ ნულარ იტყვიტ,
 სულ ვიძახე ვართი-ლალა,
 და თქვენ-კი აქ წამოგიღეთ
 ერთი გუდა ხიზილალა!..

დ. კახრაძე.





მ ი ნ ი ო ნ ა.

(შემდგო.)

III

დაობლებული მინიონა.



ალამდა. ბავშვი გაქვავებულივით იჯდა ტახტის კიდეზე და შესცქეროდა მამას სახეში. დაბინდდა. ოთახში აცივდა. ბუხრიდან ქარის ზუზუნნი ჩამოსმა. მინიონა შეშინდა. „მამამ ჩქარა მაინც გაიღვიძოს.“ — გაიფიქრა მან; მიუახლოვდა და წყნარად ჰკითხა:

— გძინავს, მამილო?

პასუხი არ იყო.

— ისევე გძინავს მეთქი, მამა? — უფრო ხმა-მალლა ჰკითხა ბავშვმა და მამის ხელს ხელი შეეხო. ხელი გაცვივებულიყო: მამა არ იძვროდა. შეშინებულმა მინიონამ ტირილი დაიწყო.

— მამილო, ძვირფასო, მამილო! მითხარი რამე, გაიღვიძე! მეშინდა!

ბავშვის ტირილმა მიიპყრო ყურადღება მრეცხავი დედა-
 კაცისა, რომელიც შემუსიკეს მეზობლიდ ცხოვრობდა. ქალმა
 აიღო ლამპარი და გავიდა მეზობლის ოთახში. მიუახლოვდა თუ
 არა ტახტს, მიხვდა, რომ შემუსიკე მომკვდარიყო. უბრალო,
 გაუნათლებელ ადამიანს არა ჰქონდა იმდენი გამოცდილება,
 რომ ბავშვისთვის უცბად არ ეთქვა ეს თავხარდამცემი ამბა-
 ვი. დახვდა თუ არა მკვდარს, მაშინვე დაიყვირა:

— მამაშენი მომკვდარა, შე საბრალო! უკეთესიც არის:
 დააღწია თავი დაუსრულებელ ტანჯვას. ისიც კარგია, რომ
 აღვიღად მოკვდა; ზოგი ამასაც ვერ ეღიროსება.

მინიონამ დააშტერა თვალები დედაკაცს. როცა სიტყვა
 „მოკვდა“ გაიგონა, ისეთი დაიყვირა, გვეგონებოდათ გაგი-
 ცდამო.

— სტყუი, მამა არ მომკვდარა!—დაუყვირა მინიონამ
 მრეცხავს. შემდეგ მივარდა მკვდარს და დაუწყო ხვევნა.

— გაახილე, მამი, თვალები! შემომხედე ერთხელ მაინც,
 არ მოკვდე დედასავით!

— მკვდარი აღარ უნდა შეაწუხო!—უთხრა დედაკაცმა
 და ბავშვი ტახტს მოაშორა. მამაშენი ახლა ღირსია მოსვენე-
 ბის: ეყო, რაც სიცოცხლეში იწვალა. შენ ნუ გეშინია: ობ-
 ლების მამა ღმერთია.

მინიონა გულ-ამოსვენით სტიროდა. მას არ ესმოდა მო-
 ხუცი დედაკაცის დარიგება; იცოდა მხოლოდ, რომ მოვლენ
 შავით მოსილი ადამიანები და წაიღებენ მამას სწორედ ისე,
 როგორც წაიღეს დედა ამ ორი წლის წინად.

მრეცხავი მივიდა ბავშვთან, ალერსით გადაუსვა თავზე
 ხელი და უთხრა:

— წამოდი ჩემთან; აქ არ შეიძლება შენი დატოვება.
 თუ ნათესავები გყავთ ვინმე, მითხარი და იმათსა წაგიყვან.

ბავშვმა უარის ნიშნად თავი გაიქნია; ქვეყანაზე არავინ
 იყო, რომ მისთვის ტკბილი სიტყვა ეთქვა, პატრონობა გაე-

წია. დედა მინიონასი იყო იტალიელი ქალი. ამ თორმეტი წლის წინად მინიონას მამა მოგზაურობდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში და მართავდა კონცერტებს. ტურინში ავად გახდა და იძულებული შეიქნა იქ დარჩენილიყო. დაბინავდა ერთ ქვრივ დედაკაცთან, რომელსაც თან ჰყავდა ძისწული ქალი. ორივენი თავგამოდებით უვლიდნენ ავადმყოფს. მემუსიკეს შეუყვარდა ქვრივის ნათესავი ახალგაზდა ქალი და ცოლად შეირთო. სახელი ამ ქალისა იყო მინიონა. ეყოლათ ქალი და დედის პატივსაცემლად იმასაც მინიონა დაარქვეს. აღარც მემუსიკეს ცოლის მამიდა იყო ცოცხალი. სხვა ნათესავი-კი არც ცოლს გააჩნდა და არც ქმარს. ღარიბის გაცნობასა და ნათესაობას მაინც და მაინც არაფერ ეტანება.

— ეს ძალიან ცუდია, — უთხრა მრეცხავმა მინიონას: — თუ პატრონი არაფერ ამოგიჩნდა, მაშინ ობლები თავშესაფარში უნდა წაგიყვანო. შეიძლება არც იქ მიგიღონ, რადგანაც მამაშენი აქაური არ იყო. მაგრამ დარდი ნუ გაქვს: სადაც იქნება შეაფარებ თავს; ქუჩაში ხომ არ დაგაგდებენ?!

მინიონა დაჩოქებული იდგა ტახტის წინ და მწარედ სტიროდა.

— ადექი, წავიდეთ! — უთხრა ბავშვს მრეცხავმა. მინიონა აღვილიდან არ იძროდა. უცხად თვალები დახუჭა და უგრძნობლად ძირს დაეცა. მისმა სათუთმა გულმა ვერ აიტანა ასეთი მძიმე და მოულოდნელი უბედურება. მრეცხავმა აიყვანა ბავშვი, გავიდა თავის ოთახში, გახდა ტანისამოსი და ჩააწვინა ლოგინში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მინიონამ გაახილა თვალები და გაკვირვებით შეხედა ლოგინთან მჯდომარე ქალს. ბავშვს ვეღარ მოესაზრებინა სად იყო? რა მოხდა, ან მამა რა იქნა? იგრძნო მხოლოდ, რომ შიოდა. ის ხომ მთელი დღე უკმელო იყო.

— შიო! — უნებლიედ წამოიძახა მინიონამ.

კეთილმა დედაკაცმა მიაწოდა ბავშვს რძე და პური. ქა-
 მის შემდეგ მინიონას ისევ ჩაეძინა.

— ბავშვების დარდი ღრმა არ არის; მათ ქამაც შეუ-
 ძლიათ, სმაც და ძილიც. მათი ბედნიერებაც ამაშია. ამა სად
 შეუძლია ბავშვს დიდი და ღრმა მწუხარების ატანა?— ჩურჩუ-
 ლებდა თავისთვის მრეცხავი ქალი.

დახედა მძინარეს და, რაკი დარწმუნდა— ბავშვს მშვიდად
 სძინავსო, ოთახიდან გავიდა. ჩავიდა კიბეზე და ჩქარის ნაბი-
 ჯით გასწია სახლის პატრონისაკენ.

მებულკეს ოჯახი ვახშმად იჯდა. ცხელ საქმელს ორთქ-
 ლი ასდიოდა. შებრაწული ძეხვი მძძარად ადამიანსაც-კი მა-
 დას მოჰგვრიდა. ჭერში დაკიდებული დიდი ლამპარი უხვად
 ჰფენდა სხივებს საქმელებით სავსე მაგიდას. ყველაფერი ამ-
 ტკიცებდა ოჯახის სილაღესა და უზრუნველყოფას. მრეცხავე-
 მა ძალაუნებურად შეადარა ღარიბ მდგმურთა აუტანელი
 მდგომარეობა სახლის პატრონის უზრუნველყოფა— სიმდიდ-
 რეს, იმისი აზრით ამ ოჯახს ჰქონდა ყველაფერი, რაც-კი საქი-
 როა ადამიანისათვის: საკუთარი სახლი, ფული, კარგი სას-
 მელ-საქმელი, ჯანსაღობა და სხვა.

მრეცხავი სწორედ იმ დროს შევიდა ოთახში, როცა
 დიასახლისი საქმლის ჩამორიგებას აპირებდა. ეწყინა, რომ ხე-
 ლი შეუშალეს და უკმაყოფილოდ ჰკითხა მოსულს:

— რა გნებაეთ?

— შემუსიკე გადაიცვალა, — მიუგო მრეცხავმა: — გეაბე-
 ლით, რომ შეგატყობინოთ.

მებულკემ კოვზი ხელიდან გააგდო და წამოდგა.

— გადაიცვალა? — გაიმეორა მან წყენით: — ნუ თუ? დი-
 დი ხანი არ არის, რაც ჩემთან იყო; აი სწორედ ამ სკამზე
 იჯდა. — მართალია, სუსტად იყო, მაგრამ ასეთ ბოლოს-კი არ
 მოველოდი. რაღა ეშველება საბრალო ბავშვს?

— დიად, რაღა ეშველება საბრალო მინიონას? — გაიმე-

ორა მრეცხავმა თავის ქნევით. — მემუსიკემ მოისვენა, ბავშვი იკითხოს თვარა. ჯერ-ჯერობით ჩემთან სძინავს, მაგრამ როგორ შემიძლია საშუღამოდ ჩემთან დავარჩინო? ვარდა იმისა, რომ ღარიბი ვარ, ნახევარჯერ სახლში არა ვარ; მთელი დღეობით სარეცხზე დავდივარ. მდიდარი რომ ვიყო, — და დიასახლისს გადახედა, — ავიყვანდი ობოლს და გავზოდდი. პერე რა ლამაზი და ქვეიანი ბავშვია! დიად, ქნო დიასახლისო, მე ასე მოვიქცეოდი!

— რასაკვირველია, თქვენ მოიქცევით ისე, როგორც თქვენი ნებაა! — წაილულულა მებულკეს ცოლმა, რადგანაც პირში ლუკმა ჰქონდა და ლაპარაკს უშლიდა. — თქვენი საქმე არ მეკითხება. მაგრამ რაც შეეხება სხვისი ბავშვის ოჯახში შემოყვანას, ეს ვერაფერი სიამოვნებაა ჩემთვის. რატომ მემუსიკე სიცოცხლეში არ ზრუნავდა ბავშვზე? ყველა რიგინი მამა ზრუნავს შვილზე და მის მომავალზე.

— დაიცა, შეიძლება წერილი დასტოვა რამე! — მოუთმენლად შეუტია ცოლს მებულკემ.

— ეს ჩვენი საქმე არ არის! ვილაც ლატაკი არა ღირს იმათ, რომ ვახშამი გავაციოთ; დაჯექი და ივახშმე!

— არა, მე არ შემიძლია ვივახშმო. ჩემ სახლში ასვენია მკედარი, როქელსაც არა ჰყავს გულ-შემატკივარი. — წავიდეთ, — მიუბრუნდა ის მრეცხავს, — გავიგებ კარგად, თუ რა შია საქმე. შეიძლება ანდერძი ვიპოვოთ, რომელშიაც ბავშვის შესახებაც იქნება რამე ნათქვამი.

— ნავახშმევს ველარ წახვიდოდი? — დაიწყო ისევ ცოლმა. — ან რადუნდა გავრიო ისეთ საქმეში, რომელიც შენ სრულებით არ გეხება? ყველას თვისი საქმე და სადარდელი აქვს. ნუ ეჩხირები იქ, სადაც არავინ გიწვევს.

მებულკემ არ მიაქცია ყურადღება გაანჩხლებული ცოლის ლანძღვას და გაჰყვა მრეცხავს.

— რა ბოროტი დედა-კაცია. — გაიფიქრა გზაში მრეცხავ-



მა, — რამდენადაც ქმარი კეთილი და კაცთ-მოყვარეა, იმდენადვე კოლი ბოროტი და გაუტანელია.

მემუსიკეს ოთახში ვერაფერი იპოვეს; ვერც ფულს, ვერც ხელთნაწერი. ნახეს მხოლოდ ის მანეთ-ნახევარი, რომელიც სიკვდილის დღეს მიიღო დირექტორისაგან. ნივთეულობაც იმდენი თუ იქნებოდა, რომ დასამარხი ხარჯი დაეთარა.

— აბა იზრუნეთ, როგორც შეგიძლიათ. თუ ფული დაგვირდეთ, შემოიარეთ. არ მინდა რომ ეს პათოსანი მშრომელი მათხოვარსავეთ დაიმარხოს.

— ბავშვი? — ჰკითხა ქალმა.

— მოიყვანეთ ჩემთან. ჯერ ხომ სხვა ბინა არა აქვს? სხვა არაფერი; ღამე მშვიდობისა.

— დაგლოცოთ უფალმა: კეთილი ადამიანი ხართ! — გასძახა კარებში მრეცხავმა.

მეორე დღეს დილით მიცვალებული დასაფლავეს. ჩუმად, ხალხის შეუმჩნეველად გაატარეს კუბო: ვერ დაინახავდით გვირგვინებს; არ ისმოდა ვალობა და ზარის ხმა.

როცა მემუსიკეს ასვენებდნენ, მრეცხავმა დაუწყო ძებნა ტანისამოსს, რომ მინიონასთვის კოტათი სუფთად ჩაეცმია. კარების უკან იპოვა შავი კაბა, რომელიც შეტის-შეტად თხელი და დაგლეჯილი იყო. ტახტის ქვეშ ეყარა გაუწმენდელი, ზონარ-მოგლეჯილი ფეხსაცმელები. ასეთი უწესრიგობა არ მოეწონა დედაკაცს და ნიშნად უკმაყოფილებისა თავი გაიქნია. შემდეგ გავიდა საკუთარ ოთახში, გაახურა ღუმელი და ყავა შედგა. ღამის სინათლეზე ბავშვის ტანისამოსი დააკერა, ფეხსაცმელი გასწმინდა და ახალი ზონარები გაუკეთა.

მინიონას მთელი ღამე ტკბილად ეძინა. თითქო განგებამ შეიბრალა და იმდენი ტანჯვისა და მწუხარების შემდეგ მოასვენა, ტკბილი ძილი მოუვლინაო. როცა გამოვლინდა, მისი პირველი კითხვა იყო: მამა სად არის?

— მამაშენი ანგელოზებმა წაიყვანეს ზეცაში, დედაშენ-



თან. თუ კარგი ქალი იქნები და ყველას ასიამოვნებ, შენც კარგად იმართებ. —

— მეც ჩქარა წამიყვანენ ანგელოზები? ახლავე მინდა მამილოსთან წასვლა.

— ჰო, შეილო, ჰო! ჩქარა წაგიყვანენ! — მიუალერსა კეთილმა ქალმა მინიონას. — ახლი-კი ადგი, ყავა დალიე და შემდეგ თქვენი ნიეთები შევაგროვოთ. ჯერ-ჯერობით სახლის პატრონთან იქნები. გასმევე-გაქმევე, თბილად გამყოფებენ.

იკოლა-კი მინიონამ, თუ რა იყო ნამდვილი გაკირვება? მართალია — ყველაფერი სამყოფად არც მამის სიკოცხლეში ჰქონია, მაგრამ მოსიყვარულე მამის ალერსი ავსებდა ამ დაწკაპის.

როცა ბავშვი ადგა, უნდოდა ჩვეულებისამებრ პირ-დაუბანელს და ჩაუცმელს დაეღია ყავა, მაგრამ მრეცხავმა არ დაანება.

— განა არ იცი, რომ, ადგები თუ არა, მაშინვე ხელპირი უნდა დაიბანო და ტანთ ჩაიცვა? — მინიონამ დაიწყო პირის ბანა, მაგრამ ისე უშნოდ, რომ დედაკაცმა ველარ მოთმინა და უთხრა: წამო, მე დაგბან პირს.

აილო სქელი ჩერის ნაჭერი, გასაპნა და მაგრად გაუსვა სახესა და კისერზე. ბავშვს არაფრად ესიამოვნა, მაგრამ, როგორც უცხო, ველარ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.

— ახლა თმას დაგვარცხნი და ნაწნავებს გაგიკეთებ. სიკცხილია ასე თმა-გაწეწილი სიარული.

დედაბერი ბევრს ეცადა, მაგრამ ხუჭუჭა თმაში სავარცხელი ვერ გაატარა. რომ ვერას გახდა, ადგა, დაასველა ტანისამოსის შროთჭი და იქამდე უსვა თმას, სანამ არ გაასწორა და დასავარცხნად არ დაიმორჩილა. რომ ნაწნავი არ დაშლილიყო, ბოლო გრებილით შეუქრა.

— აი ახლა მზათა ხარ: შეგიძლია ყავა დალიო, — უთხრა მრეცხავმა მინიონას.

როგორ გააკვირდებოდა საწყალი მემუსიკე, ახლა რომ თვისი მინიონა დაენახა? ბავშვი ისე სუფთად და კობტად იყო გამოწყობილი, რომ ველარ იცნობდით. ერთი არ უხდებოდა მინიონას: ხუჭუჭა თმის მაგივრად მოკლე და მსხვილი ნაწნავი გაუკეთეს.

ყავის შემდეგ მრეცხავი მინიონათურთ გავიდა მემუსიკეს ოთახში.

ოთახს ველარ იცნობდით! ყველაფერი აფორიაქებული იყო. ორი კაცი ეჩხუბებოდა ვიღაც დედაკაცს რაღაც ნიეთის გულისთვის. გავგოთ თუ არა მემუსიკის სიკვდილი, მოვალენი ყორნებივით დახვეოდნენ დარჩენილ ნიეთებს. ყველა ცდილობდა დაებრუნებინა ის თითო-ოროლა გროში, რომელიც მემუსიკეზე დარჩენილიყო ვალად.

ყასაბის ცოლს შეეკრა ლოგინი და ცდილობდა რკინის საწოლიც ჩაეგდო ხელში, მაგრამ მეწაღე და მკერავი არ ანებებდნენ.

ყველაფერი გამოეტანათ ოთახიდან. დარჩენილიყო მხოლოდ ძველი ფორტეპიანო და სკრიპკა. მინიონა ეკვროდა მრეცხავს. ველარ ეცნო ოთახი, რომელშიაც გუშინ ისე კარგად გრძნობდა თავს.

— მამა სად არის? — წყნარად იკითხა ბავშვმა.

პასუხი არავინ გასცა.

მრეცხავი ძლიერ ააღელვა ამ შეუბრალებელ ხალხის საქციელმა; წადგა წინ და საყვედურით მიმართა მოჩხუბართ:

— გრცხვენოდეთ, რომ ყორნებივით დაესხით თავს ამ საწყალი კაცის პარტახს. შემოხედეთ ამ ობოლ ბავშვს! ნუ თუ არაფერს დაუტოვებთ მას? არ გაბედოთ არაფრის ვატანა, თორემ ახლავე პოლიციას მოვიწვევ!

— სასამართლოს საშვალეებით ვერაფერს მივიღებთ; არა და — ზარალში ვართ, — სთქვა ერთმა.

— რასაკვირველია, — ჩაერიო ყასაბის ცოლი: — მეცა მყავს

ბავშვები; უნდა ვიზრუნო თუ არა მათზე? რაკი ფული დასტოვა, ნივთები უნდა წავეილოთ! მაშ რა ვქნათ?

— ეს ძველი არღანი ვის მიაქვს?—იკითხა მეწაღემ და უჩვენა ფორტეპიანოზე.—ამ სკრიპკას-კი შე წავიღებ: ჩემი ბიჭი დიდი ხანია ნატრულობს...

მინიონა აქვითინდა და წაეტორტმანა სკრიპკას.

— მომე, ძია, შენი ჭირიმე —არ წაიღო!—ევედრებოდა ბავშვი მეწაღეს და ტიროდა.

— კარგი, წაიღე ეს უვარგისი ნივთი!..—გაღითრებულობოლის ცრემლებმა მოაღბო გულ-ქვა ადამიანი.

მინიონამ სტაცა ხელი თვის საყვარელ ნივთს და მიიკრა გულზე. სხვა მის აღარაფერი უნდოდა.

— საბრალო ბავშვო, ყველაფერი მოგტაცეს!—უთხრა მრეცხავმა მინიონას:—წავიდეთ სახლის-პატრონთან.

IV

პირველი დღე მებულკეს ოჯახში.

მრეცხავმა ჩაჰკიდა ბავშვს ხელი და მიატოვა აობრებული ბინა მემუსიკისა. ეზოში როცა გავიდნენ, ზარის ხმა შემოესმათ. კვირა დღე იყო. დედაბერი შეჩერდა და ზარის ხმას ყური დაუგდო.

— გესმის?—უთხრა მან მინიონას.—ეს ხმა მოგანიკებს ბედნიერებას. იყავ გამრჯელი, ბეჯითი, ნურავის აწყენინებ და სამაგიეროდ ღმერთი არ დაგივიწყებს.

შევიდნენ სახლის პატრონიანთ სამზარეულოში. მრეცხავს უნდოდა ჯერ მოსამსახურე დედაკაცი ენახა. მოსამსახურე მუშაობაში იყო გართული და მოსულებს ყურადღება არ მიაქცია.

— დილა მშვიდობისა, ქრისტინე! ბავშვი მოვიყვანე. —
 უთხრა მრეცხავმა.

— ეს ჩემი საქმე არ არის! — არც კი მოუხედავს, ისე
 წაილაპარაკა მოსამსახურემ.

— ბატონმა მიბრძანა ობოლი მოიყვანეთ. ნუ ხართ ამპარ-
 ტიანი: წაიყვანეთ ბავშვი ბატონთან.

— სრულებითაც არ ვამპარტივობ, მაგრამ არც ის არის
 მაინც-და-მაინც სასიამოვნო, რომ სახლში მუდმივი აყალ-
 მაყალისა და ჩხუბის მიზეზი გაჩნდება. საქმარისი იყო — რაც
 ამ დილაზე მოხდა: ბატონი ობოლს ესარჩლება და უნდა
 უბატრონოს, ქალბატონი-კი წინააღმდეგია: მთხოვარას სახლში
 არ შემოვიყვანო, — გაიძახის. ეგ, მე და შენ კარგად ვიცით,
 რომ ეს ქვეყანა ჯოჯოხეთია. ღარიბთათვის, მაგრამ რას იზამს
 კაცი: სული მწარეა!.. წაიყვანეთ ბავშვი ბატონთან; თუ სი-
 ტყვა მოგცათ, კიდევაც შეასრულებს.

ქრისტინემ შეულო მოსულებს ოთახის კარები და თვი-
 თონაც უთვალთვალებდა, რომ დაენახა, როგორ შეხედებო-
 და ქალბატონი მრეცხავისა და მინიონას მოსვლას.

— დედა! აი ის, მთხოვარა შემუსიკის ქალი, — დაიყვირა
 მებულკეს უფროსმა ვაჟმა ბრუნომ, რომელიც ეკლესიაში
 წასასვლელად მომზადებულყო და ლოცვანით ხელში კარბე-
 თან იდგა.

— რა გინდა? — თავხედად ჰკითხა მან მინიონას,
 რომელიც ისე შეშინებულიყო, რომ მრეცხავს არ შორდებო-
 ბოდა. — არ გვინდისარ: წაეთრიე აქედან!

— პატარა ბატონო! — (დედას ნაბრძანები ჰქონდა, რომ
 ბრუნოსთვის ასე ეძახნათ). — უთხრა მრეცხავმა, — ეს თქვენი
 მშობლების საქმეა. თქვენ-კი არ უნდა იკადროთ ასეთი სი-
 ტყვები, მეტადრე ახლა, როცა ეკლესიაში წასასვლელად გა-
 მზადებულხართ და ხელში ლოცვანი გიჭირავთ!

მებულკეს ცოლი ადგა. ამდენხანს იჯდა და თავს ასე

აჩვენებდა, თითქოს სრულებით ვერავის ამჩნევს და ფანჯარაში გაიყურებაო. მაგრამ ისე კი, რომ ერთ სიტყვასაც არ სტოვებდა, რომ მეხსიერებაში არ შთაებეჭდა. ბრუნო ყველაფრით დედასა ჰგავდა. შვილის სიტყვები ძალიან მოეწონა ქალბატონს, რომელმაც მრისხანედ შეუტია მრეცხავს:

— თქვენ ნუ ასწავლით ქუას ჩემ ვაჟს. არც-კი გესმით, რომ ბრუნო სრულიად მართალია! ჩვენ არ შეგვიძლია ობლების გამოკვება; წაიყვანონ რომელიმე თავ-შესაფარში: იქ არის მათი ბინა.

მეზულკეს ცოლმა ისეთი ზიზლით გადახედა მინიონას, რომ ბავშვს თავის დღეში არ დაეიწყებია ეს შეხედვა.

— წავიდეთ, — წასჩურჩულა მინიონამ მრეცხავს: — ბოროტი დედაკაცია — მომკლავს!

იქვე მაგიდას მოსხდომოდნენ მეზულკეს უმცროსი შვილები: ავგუსტი და კურტი. პირველი იყო თორმეტის, მეორე — ათი წლისა. ორთავენი პირდაღებული შესცქეროდნენ მინიონას.

— სკრიპკაზე უკრავს, განა! — წასჩურჩულა კურტს ავგუსტმა.

— ასე პატარა ქალმა როგორ უნდა დაუკრას სკრიპკაზე.

— კურტმა ველარ დაიჭირა თავი და გაიცინა.

ავგუსტმა ძმის კიბხვა უყურადღებოდ დასტოვა. ის წითლად და თანაგრძნობით უცქეროდა ხან დედას, ხან მინიონას.

მრეცხავს თავის დღეში არ ენახა ისეთი ბოროტი და გულ-ქვა ადამიანი, როგორიც მეზულკეს ცოლი იყო. არც გულჩვილი იყო მაინც და მაინც, მაგრამ ადამიანის ასე — მა საჭციელმა თვალები აუკრემლა. მან აღერსით დაადო თავზე მინიონას ხელი და აკანკალებული ხმით უთხრა გულ-ქვა ქალბატონს:

— კარგი, ამ ბავშვს თქვენ აღარ აკიდებთ ბარვად. მე

თვითონ ვიზრუნებ ობლისთვის, როგორც შევძლებ. ბევრი მდიდარი ნაცნობი მყავს. დღესვე ჩამოუვლი ყველას და ვთხოვ—რითიმე დამეხმარონ. მანამ-კი ჩემ ქალთან წავიყვან. მართალია—მლიერ ღარიბად ცხოვრობს; ოთხი წვრილი შვილი ჰყავს, მაგრამ შეხუთესაც მისცემს ბინას, როცა გაიგებს, რომ ბავშვი უპატრონოდ არის დატოვებული. კარგად ვიცი მისი კეთილი გულის ამბავი.


— ასეც უნდა მოქცეულიყავით! რა საჭირო იყო ამდენი თვალთმაქცობა? სანამ უპატრონოდ დაგდებულ ბავშვს რიგიან ოჯახში მოიყვანდით, ობლების თავშესაფარისთვის უნდა მიგეშარათნათ. ამას შე მგონი დიდი მოსაზრება არ უნდოდა?!

მინიონა გულ-ამოსკენით სტიროდა. მიზეზი ამ ტირილისა მისთვის გამოურკვეველი იყო; ხედავდა მხოლოდ, რომ ამ ოჯახში გაძლება შეუძლებელი იქნებოდა. მას ჯერ არ შეხებდროდა მებულქეს ცოლისთანა კაპასი და უღმობელი იდამიანი.—ნეტავი მამამ იცოდეს, რა დღეში ვარ ახლა!—ფიქრობდა მინიონა.—სად არის მისი აღერსი და მოფერება?

ამ ოცნებაში იყო ბავშვი. რომ მასთან მივიდა ავგუსტი და ხელი მოჰკიდა.

გ. ლ—ძე.

(შემდეგი იქნება.)





ადამიანი.

ლდე სტიროდა... ღღე და ღამ-
სისხლის ცრემლი სდიოდა,
და თვის უბედურებას
ქვეყანას შესწიოდა.



დამზრალი გულ-მკერდიდან
ქვა და ქვიშა სცვიოდა;
ყინვა იყო მის სულში...
სციოჯი და სციოდა..

ველარ შესძლო... სამყაროს
შესძახა: „მიშველეთ
გამომიწოდე ხელი,
ტანჯვა გამინდებო!..“

არვინ ვასცა პასუხი:
ყველამ ზურგი უჩვენა,
და უთხრა: „შენს ტანჯვასთან
ხელი არა გვაქს ჩვენა!“

კლდემ სთქვა: „ვაჰმე არვინ მყავს
სვედის შუა მყოფელი,

და სულით ტანჯულიათვის
 ყრუა ესე სოფელი!..“


მაშინ კაცსა, ლეთიანსა,
 ტინის გულ-მკერდიანსა:
 ამაცსა, თავ-მომწონეს,
 ლალსა, ამო-ხმიანსა—

— შერცხვია... უთხრა: „აქა ვარ,
 შუა გავიყოფე ჭირსო:
 სირცხვილი, — ვინც გაურბის
 ტანჯვას და გასაჭირსო..“

მივარდა მსწრაფლად კლდესა,
 სიტყვის თქმა არ აცალა;
 ტანჯვა-კვნესა გულიდან
 სუ მთლად ამოაცალა, —

და თვით ჩაიდგა გულში...
 ამაღლდა სულ-ღვთიანი;
 და მას შემდეგ დაერქვა
 კაცსა ადამიანი!..

ბ. ახოსპირელი.





საქართველოს უესანი- უნავი აღგილეზი.

წერილი ზირველი.

1. ბეთანია.

ვათუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ აღყზავდეს ახლის შეენებით?..
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შემან ყორანმა,
ვით უმწე მსხტარპლი?

ჰე, ერუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?..
დიდება ჩჷსნი,
კად სხივ მიმფერი,
ნუთუ ეს ლა გვაქეს, ვებდავ რასაცა?..

(გრ. ორბელიანი: თამარ შეფის სახე ბეთანიის
ველესიაში).




ყვდიადით მოკულ საქართველოს ის-
ტორიაში აქა-იქ მოსჩანან ნათელი
წუთები. ეს წუთები, ელვასავით,
დრო-გამოშვებით და ცოტა ხნით
აშუქებენ არე-მარეს, და მერე ისევ
ისტორიის წყვილიდში ჰქრებიან.

როგორც თვით მთელი საქართველოს მიდამო, ისე იქ დასა-
ხლებულ ერის ცხოვრებაც სწორედ ასეთი წუთიერი ელვი-

ბუნებისაა, როგორც მთელი საქართველოს ისტორიაში, ისე იქ დასახლებულ ერის ცხოვრებაც სწორედ ასეთი წუთიერი ელვი-

თია გაშუქებული და ცნობილი: ამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი-კი ჯერაც ბნელითაა მოცული, ხან ჩვენივე დაუდევრობისა, და ხან, უნებლიედ, — ჩვენივე უკოდინარობისა გა-



კაბენის მონასტერი.

მო. ერის ცხოვრების გამოხატველი სურათები — ზოგი ბედის ჩარხის უკულმა ტრიალს გაუნადგურებია, ზოგი, ჯერ უნაწა-



ვი და შეუსწავლელი, მიუვალ ალაგებში ინგრევა და ჩაბნე-
ბა; ზოგი კი, ხალხში გაფანტული, უსარგებლოდ ან ჩარდა-
ხებზე ჰყრია, ან მაგარ სკივრებში ჩაკეტილია. მკოდნე პირის
ხელში კი ისინი ერის თანამედროვე სულიერ თუ გონებრივ
ცხოვრების გამორკვევას ისეთსავე სამსახურს გაუწევდნენ,
როგორც მეცნიერებას ამას წინად გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრებამ გაუწია.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ დაგვისურათა მე-VII—
VIII საუკუნის პოლიტიკური გეოგრაფია, ეკონომიური, პო-
ლიტიკური და გონებრივი ცხოვრება თანამედროვე საქარ-
თველოს ზემო ქვეყნების*) ნაწილისა. სწორედ მას უნდა ვუ-
მაღლიდეთ, რომ ახლა ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ
ამ ადგილების ქართველების მიერ დასახლების სურათი, მათი
მოსახლეობის გავრცელება და განვითარება.

ერის კულტურული გემოვნებისა და ხელოვნების განვი-
თარების სურათები მრავლად მოიპოვება ჩვენში, მაგრამ, სამ-
წუხაროდ, ისინიც ვერ არიან უკეთეს მდგომარეობაში. სულ
კოტახანმა განვლო მას აქეთ, რაც თამარის დროისებური
ნაშთი, ქართული ხელოვნების ერთი საუკეთესო მაჩვენებელ-
თაგანი—კაბენის ეკლესია—შეუბრალებლად იქნა დანგრეული
და მისი საუცხოვო ფოთლოსან და წნულ ჩუქურთმოვანი კე-
დლების მაგიერ აღმოცენდა სადა კედლები, თეთრი მონასტ-
რისა**). და ის ქვები, რომლებიც საუცხოვოდ გვიხატავდნენ
ქართულ ეროვნულ ხელოვნებას და მის ზემოწვევით გან-
ვითარებაზე ლაღადებდნენ, სამუდამოდ გაქრნენ მეცნიერები-
სათვის და დაიკარგნენ ჩამომავლობისათვის.

ტფილისის გარშემო მრავლად მდებარე ხელოვნების გა-

*) ზემო ქვეყნები ეწოდებოდა წყლების სათავეში მდებარე ქვეყნებს:
კლარჯეთს, ტაოს, შავშეთს და სხვ.

**) „Бѣлый монастырь.“ — გუთონის რუს ბერებს, მდებარეობს
კოჯრის მახლობლად, ტფილისიდან 20—25 ვერსის მანძილზე.

მომხატველ ასეთ ნაშთებში ~~არ~~ მკორე ალაგი ეკირა და რავეს ბეთანიის მონასტერს. ბეთანია მდებარეობს ტფილისი-დან 15 ვერსის მანძილზე, ვერეს ხეობაში იქ, სადა ვერეს უერთდება ხევი სამადლოდან. მაგარ და ძნელ მისაველ მალ-ლობზე აშენებულია მონასტერი ბეთანია ანუ ბეთენია, რო-გორც ვახუშტის გეოგრაფიაშია მოყვანილი. ვახუშტის სი-ტყვისთ, ბეთანია აშენებულია თამარ მეფის მიერ და წარმოა-დგენდა დიდშენ მონასტერს, მაგრამ ვახუშტის დროს უკვე დაქვეითებულს და „ხუცის ამარ“ დაჩენილს. ვახუშტის აზრს ეწინააღმდეგება სომეხ ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის სიტყვები, რომ ბეთანია აშენებულია ბაგრატ IV დროს, ე. ი. მე-XI საუკუნეში, ორბელიანთა მიერ, საგვარეულო აკლდა-მად *) (ბაქრაძე, აქტები ტ. V). იმავე ისტორიკოსის ცნო-ბით, აქ დაუმარხავთ ბაგრატის მძლავრი მეტოქე — ლიპარიტ ორბელიანი.


ორივე ხსენებული ისტორიკოსის აზრს ეწინააღმდეგება წარწერა 1196 წლისა, ეკლესიის შესავალში. წარწერა ამ-ბობს, რომ ეკლესია აშენებულია მამასახლისის **) საბას მიერ მეფის კვირიკეს ქალის მეუღლის ამილბარ ამირსპასალარის სასაფლაოდ. ცხადია ეს წარწერა უფრო მართალი უნდა იყოს, რადგან ასეთ წარწერებს ეკლესიის აშენების დროს ატანდნენ ხოლმე; ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბეთანია აშენებულია 1196 წელს ე. ი. თამარ მეფის დროს. წინაღ ის, როგორც სტეფანოს ორბელიანიც მოგვი-თხრობს, ორბელიანთა აკლდამას წარმოადგენდა და დიდი მონასტერი იყო. საქართველოს სამეფოს უკანასკნელ ხანებ-ში-კი, როგორც ბაქრაძე ამბობს, უკვე ბარათაშვილთა ხელ-ში გადასულა. მონასტრის დაქვეითებაზე-კი ვახუშტიც მო-გვითხრობს.

*) სამარხი ადგილი.

**) მამასახლისი იგუფენსაც ეწოდებოდა.

ახლა ბეთანიაში არის ორი ბერი. ისინი ცხოვრობენ ახალ სახლში. ეკლესიის გალავანში ყოფილი წინანდელი მონასტრის შენობები-კი სრულიად დანგრეულია.

ბეთანია წარმოადგენს ორ ეკლესიას, პატარას და დიდს, დერეფნით შეერთებულს. დიდი ეკლესია არის გუმბათიანი სიონი. შენობა ქართული ხელობის მშვენიერი ნაშთია. ადამიანს ზხიბლავს მისი დაზიანებული და დაკვრებული კედლები-კი. საქართველოში მრავალია შენობა, ციხე თუ ეკლესია, რომლებიც თავისი ნაშენობის სიმტკიცითა და მდებარეობით ადამიანს აკვირვებს, თითქოს ამტკიცებს, რომ ასეთი მოვლენა ხშირი იყო. მაგრამ ყოველი ახლად გაცნობილი, ხელოვნურად აშენებული ნაშთი, მტკიცედ და ამაყად გადაქიმული მიუვალ ალაგას, აოცებს ადამიანს და უღვიძებს პატივისცემას იმ ხალხისადმი, რომელმაც მხოლოდ სულის სიდიადის შემწევობით შესძლო ასეთი დიადი ხელოვნების შექმნა. ადამიანი უნებლიედ ადარებს წარსულს და აწყობს ამ ხალხისას, ყოფილ და არსებულ კულტურა-ხელოვნებას, და ხშირად ეს ისეთსავე ნაღვლიან გრძნობას უღვიძებს, როგორც გაუღვიძა ბეთანიის მონასტერმა ჩვენ შკოსანს ვრ. ორბელიანს:— „ვა თუ რაც წახდეს, ვეღარა აღსდგეს, ვეღარ ილყუავდეს ახლის შენებით?“ ეს ნაღვლიანი აზრები მას იმდენად იტაცებენ, რომ ის ბეთანიის დიდებულ ნაშთში ხედავს მხოლოდ: „დაყრუებულსა, გზა-შეუვალსა, უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს, სად სახე მეფის, დიდის თამარის, სჩანს ძველს კედელზე გამოხატულიად.. (თამ მეფ. სახე ბეთ. ეკლ). ის თითქოს ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ყოველი ნაშთი ჩვენთვის ძვირფასია, როგორც ქართველი ერის ძალისა და უნარის მაჩვენებელი და დამახასიათებელი. ქართველ ერს არა—ერთხელ გამოუცლია დაცემა-დაქვეითება, მაგრამ ისევ ამდგარა და შეუქმნია ის, რაც აოცებს ყველა მნახველს და რასაც ქვეყნიერების ხელოვნების ისტორიაში ქართულ ხელოვნებას უწოდებენ.



ლაშა გიორგი, თამარი და გიორგი მეფე.



ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს საქართველოში ქანდაკებანი არ არსებობდნენ და ეს მხარე ხელოვნებისა სრულიად განუვითარებული იყო და ის მკირეოდენი ნაშთები ქანდაკებათა, რომლებიც საქართველოში მოიპოვება, უცხოელებს გაუკეთებიათო. მაგრამ, როგორც გამოკვლევა ამტკიცებს, ქანდაკების ხელოვნებაც არ იყო ქართველებისათვის უჩვევი. ნაშთთა სიმკირეკი აიხსნება იმით, რომ ქანდაკებას უშეტეს შემთხვევაში სკრიდნენ ლურჯ, რბილ და გაუძლის ქვისაგან. ქვა უშეტეს შემთხვევაში ინგრეოდა და ქანდაკებაც ფუჭდებოდა. ამით აიხსნება სიმკირე ქანდაკებათა ამ გარემოებამ გამოიწვია სპეციალისტთა აზრი, რომ ის რამოდენიმე ნაშთი საუცხოვო ქანდაკებისა, რომელიც ჩვენში მოიპოვება, ვითომც უცხოელების გაკეთებული იყოს. ხშირად ასეთსავე ლურჯ ქვაზე ჩუქურთმასაც სკრიდნენ.

ბეთანიის ეკლესიის ჩუქურთმიან კედლებში და სარკმელთა არშიებშიაც არსებობს რამდენიმე ლურჯ ქვაზე ქრილი ჩუქურთმა. ზოგი მათგანი ფრეობა დანგრეულა და მათ აღავას ჩაკვრებულია ან მერძინდელი უფრო მდარე ხელოვნებით შესრულებული, ან კიდევ სრულიად სადა, უჩუქურთმო ქვები. საზოგადოდ კი მრავლად დარჩენილა ძველი ჩუქურთმაც საუცხოვო ხელოვნებისა და შეუძლებელია ქართული ხელოვნების შემსწავლელმა მას გვერდი აუქციოს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც ხელოვნების შესასწავლად, ისე ისტორიისათვის, ბეთანიის ეკლესიის შიგნითა მხარეც. უპირველეს ყოვლისა აქ საუცხოოდ გამოხატულია თამარ მეფე, მამა მისი გიორგი მეფე და შვილი ლაშა. ის სურათი თამარ მეფისა, რომელიც ახლაც გავრცელებულია, სწორედ აქედან არის გადმოღებული და მერმე ლიტოგრაფიულად გამოცემული ამ ნიწლის წინად.

თამარ მეფე გამოხატულია ეკლესიის მარცხენა კედელზე. მარცხენა მხრით მას უდგას მამა, — მეფე გიორგი, და მარ-

ჯენივ—ლაშა გიორგი. მით გვერდით, აქეთ-იქით, დგანან წმიდანები: მეფე გიორგის გვერდით—წმ. გიორგი, და ლაშას გვერდით—წმ. დიმიტრი.

მშვენივრად შეხავებული ფერადები, იმას გარდა, რომ გვიხატავენ ქართველი ერის საყვარელ დიდებულ თამარ მეფეს, გვიჩვენებენ აგრედვე, თუ რამდენად განვითარებული ყოფილა 11—12 საუკუნეში მხატვრობა და რამდენად დახელოვებული ყოფილან ჩვენი მხატვრები საუცხოო ნახ ფერადების შეხავებაში. მით უფრო ცხადი იქნება ეს ჩვენთვის, რაც უფრო დაუკვირდებით და ჩაუფიქრდებით იმ გარემოებას, რომ ეს სურათები შვიდი საუკუნის წინად დახატულია და ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში *)—არც ჰაერის თავისუფალი მოძრაობისა და არც წვიმისაგან არ გაფუჭებულა. შვიდი საუკუნის განმავლობაში წაშლილა მხოლოდ წარწერები: ფერადები კი მხოლოდ უფრო მკრთალი ფერის არას.

სურათები თამარისა, გიორგისა და ლაშასი არის აგრეთვე ვარძიის მონასტერში, და ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, ქართლში. ამ უკანასკნელში შენახულია წარწერები, მაგრამ თვით სურათები დაზიანებულია და თამარ მეფის სამოსელიც სრულიად თეთრია. წინად იმ აზრს ადგენენ, რომ ბეთანიაში გამოსახული იყვნენ,—თამარი, მისი ქმარი დავით სოსლანი და ლაშა. მაგრამ ახლა მტკიცდება, რომ დახატული არის გიორგი მეფე და არა დავითი. ეს აზრი მით უფრო სარწმუნოა, რომ, როგორც უკვე ვთქვი, ყინწვისის ეკლესიის მხატვრობას წარწერები აქვს და გიორგი მეფის სურათი სრულიად ემზგავსება ბეთანიის სურათს.

ეს სურათები, გარდა მხატვრული წარმატებისა, გვიჩვენებენ აგრედვე სამეფო ტანსაცმელს. ეკლესიის დანარჩენ კედლებზე და საკუროთხვეველში დასურათებულია წმიდანები

*) ბაქრაძის დროს ბეთანია ინგურადა (აქტები V), და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დახურეს და შეაკეთეს.

და მიტროპოლიტები საქართველოსი. აქა-იქ წვიმას ჩაპოურეცხია და ახლა კირით შეუკეთებიათ.

შხატვრობის გარდა, ეკლესიაში ძველი აღარაფერია. ბეთანიის ღვთის-მშობლის ხატი ინახება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში (ბაქრაძე, აქტები, V და VI ტ.). ეკლესიის შესავალში არის სარდაფი, სადაც ჰყრია ადამიანის ძვლები და თავის ქალები. ზოგ ქალას ნათლად ეტყობა კრილობები. მოყვანილობით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან. ვისია ეს ჩონჩხები—ძნელი გასაგებია. ცხადია, რომ ეს აკლდამა ყოფილა, და ვის მარხავდნენ შიგ—მტრებისაგან დახოცილ მეომრებს, ბერებს, პატრონთ—ორბელიანებს, თუ ბარათაშვილებს—ჯერ-ჯერობით ამის გამოცნობა ძნელია, — ისევე ძნელია, როგორც გამოცნობა იმისა, თუ რა გამოიარა 7—8 საუკუნის არსებობის დროს დიდებულმა ტაძარმა. ის მხოლოდ დგას და უჩვენებს ქართველ ერს მის წარსულ ხელოვნებას, სათაყვანებელი მეფის სურათს და აგონებს იმ დროს, როცა ქართველებს შესწევდათ ძალა და უნარი, რათა ყოველი საქმე ისე მტკიცედ და კარგად შეესრულებინათ, რომ დაექმაყოფილებინათ მოთხოვნილება კულტურული გემოვნებისა და მათგან შესრულებული ღვაწლი საშვილი-შვილოდ დარჩენილიყო.

იმ დროს ქართველი ერი ისე დანაწილებული არ იყო და ხუროთ-მოძღვარნიც სკდილობდნენ საზოგადოებისთვის სარგებლობა მოეტანათ. და აი ეს ერთობა ამოძრავებდა მაშინდელ მოღვაწეთ და სიდიადე საზოგადოებრივი საქმისა ისახებოდა დიად ხელოვნებაში, რომლის განვითარებაში ყოველ ქართველს შეჰქონდა თავისი წვლილი.

მაგრამ იცვლებოდა დრო; ერის ერთიანობა ირღვევოდა; ვანკალკევებული და დაბეჩავებული ქართველები ძველის შენახვისადაც ვერ ახერხებდნენ.

ბეთანია ჩვენთვის ძვირფასია, როგორც ქართველი ერის

კულტურისა და ერთიანობის გამომხატველი. ამიტომ შეუძლებელია ადამიანმა გულის წყრომით არ მოიხსენიოს ის პირები, რომლებიც მის კედლებსა და სურათებს თავისი სახელისა და გვარის წარწერით აკრელებენ და აფუჭებენ. ამას უნდა მიუმატოთ, რომ წარწერა უბრალო ფანქარით ან ნახშირით ნაწერი-კი არ არის მხოლოდ, არამედ ძალიან ხშირად ისეთი ფერადით, რომელიც უკვე აღარ იშლება. ცხადია—დაწერით საგანგებოდ შორიდან შოაქეთ სხვა-და სხვა ფერადები, რათა ჰეროსტრატესავით *) ხელოვნების დიდ ნაშთზე თავისი უმნიშვნელო სახელიც აღბეჭდონ. მართალია, ისინი ამით ქართულ ხელოვნების შესწავლას ვერ მოსპობენ,—ვერ მოსპობენ მაშინაც, თვით ბეთანიაც რომ სრულიად გაანადგურონ, რადგანაც პრაველია ჩვენში ხელოვნების სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაშთი; მაგრამ ისიც ნუ დაგვაფიწყდება, რომ ასეთი დიდმნიშვნელოვანი ძეგლის დაკარგვა საერთო სურათს აუცილებლად შეასუსტებს.

ი. ანთაძე.



*) ჰეროსტრატე—ბერძენი იყო, რომელმაც ისურვა, რომისი სახელი საშვილიშვილოდ დარჩენილიყო ისტორიაში და, რადგანაც კეთილისათვის ძალი არ შესწივდა. ამიტომ საბერძნეთის საუკეთესო ტაძარი დაწვა.



ტ ა ი გ ა *).

კვირვასი ნაღირი.



აიკალის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით გად-
ქიულ თვალ-უწვდენ ველზე აქა-იქ თხელ-
ფურცელა ზეებსა და არყების ახლოს მიკუნტუ-
ლა არყის ქერქისაგან გაკეთებული ურასები **).

ეს ურასები ტერმიტების წვეტიან სადგომებს მოგაგონებენ,
რომელთაც ამაყად აუშართავთ თავიანთი წვეტიანი თავები
ცისაკენ. სხვა შენობების ნასახსაც-კი ვერ ნახავს აღამიანი ამ
უდაბურ ადგილებში. ეს კარვები-კი დროებითი ბინებია აღ-
მოსავლეთ-ციმბირის ელი ***) ხალხის—ტუნგუსებისა.

*) ციმბირში ტყეს ცივას ეძახიან.
**) ტუნგუსების კარავი.
***) ხალხი, რომელიც არ ბინადრობს ერთ ალაგას.

სამარისებური სიჩუმეა ბანაკში. არაფერი არ არღვევს დიად მყუდროებას. დილა-ადრიან, გადმოსტყორცნის თუ არა მზე თავის ნორჩ სხივებს ღ ხეების გძელი შავი ჩრდილი გაწვება მიწაზე, ურასებში აფუსფუსდება ხალხი; გამრვლენ ტან-დაბალი, უშნო დედაკაცები. ეს დედაკაცები ისე პატარები არიან, რომ პატარა გოგოებს ემხგავსებიან. გააჩაღებენ ცეცხლს ურასებთან და დაიწყებენ თავიანთ უბრალო საქმელების ხარშვას. შემდეგ გამოცვივდებიან ნახევრად ტიტველა, მზისაგან გარუჯული, თმა-აბურძგვნილი ბავშვები, შემოაუსხდებიან ცეცხლს, ხარბის თვლით შესცქერიან ქვაბში მოჩუხჩუბე შეკამანდს, მდულარე ჩაის, და ელოდებიან საქმელს.

ირმის გემრიელი ხორცი რომ ჰქონდეთ, უმსაც არ დაიწყებდნენ, მაგრამ ირმის ხორცი ისე ძვირად ზედებათ... ირმები ცოტანი არიან. ძალა-უნებურად უნდა სვან ჩიი და ხვრიტონ ფქვილის სალაფავი. მხოლოდ ხან-და-ხან მოაქვს მამას ნანადირევი. მამაკაცები სრულიად არ სჩანან ბანაკში. სანადიროდ არიან წასულნი შორს, ტაიგაში, რომელიც ხე-ვებითაა შიგა-და-შიგ დაყოფილი. ასულა მალალ მთებსა და დაშვებულა მთის კალთებზე; შავად გაშლილა ბარში და უერთდება შორს ლურჯ კის კამარას. დიდხანს რჩებიან იქ მონადირეები, ეძებენ ნადირს და, როცა ბრუნდებიან შინ, მთელი ბანაკი ცოცხლდება. მახლობელთ ახარებს იმათი უვნებლად დაბრუნება. ტაიგაში ყველაფერი მოსალოდნელია: დათვამაც შეიძლება დაბელოს, ტყეს ცეცხლი გაუჩნდეს, ავსულემაკ, რომლებითაც სავსეა ტაიგა, შეიძლება შეიტყუონ ადამიანი უდაბურ ადგილას და გზა დაუბნიონ. მონადირეებს მოაქვთ ნანადირევი; დამშეული ხალხი ხარზად სქამს ხორცს და ურასებში ყველგან ღზინი იმართება. ნადირის ბეწვიანი ტყავები კი ქანდარებზეა გადაკიდული და ელის მყიდველების მოსვლას. ტყავების შემყურე ხალხი სულით არ ეცემა: იცის, რომ ექნებათ ფქვილიც, მარილიც, ძვალისით ხმელი ზლითებიც და თოფის წამალიც სანადიროდ წასასვლელად.

მაგრამ ერთხელ, როდესაც მონადირეები დაბრუნდნენ თავის წვეტიან ურასებში, მთელი ბანაკი შეწუხებული დახვდათ. დიდი უბედურება მოხდა: ბანაკს ეწვია საშინელი მახინჯი სტუმარი ავი ბებია—ყვავილი,—ისეთი მრისხანე ბებერი, რომ იმის კლანჭებს თავს ვერაფერს დააღწევს. ბებერი დაძრწის გიჟივით ციმბირის თვალ-უწვდენ ველებზე და უყვარს საწყალი ტუნგუსების წვალება. სადაც-კი მივა, ხალხი იწვის, შფოთავს სიციხეში, შავდება, ბრმავდება, ცოცხლად ღვება... არაერთად შეწყალება არ იცის ბებერმა; და ეშინია ტუნგუსს ამ სტუმრის, ყოველ მხეცზე უფრო, ტყის ცეცხლზე მეტად.

დაბრუნდა სახლში მონადირე ბარალტაი,—ასე ეძახდნენ მას ტყვეების საყიდლად მოსული ვაჭრები,—ოჯახი სალად და უვნებლად დახვდა. მისი ურასი ბანაკის განაპირას იყო და ბოროტ ბებერს ჯერ ვერ მიეღწია იჭამდის. შემფოთდნენ ტუნგუსები. შეიკრიბნენ ერთ ურასის წინ, შემოუსხდნენ ცეცხლს და შეუდგნენ თათბირს. აინთეს ჩიბუხი, კარგა ხანს იყვნენ ჩუმად და შემდეგ ასტყდა ლაპარაკი. ცოცხალ, მოძრავ ტუნგუსებს არ შეუძლიათ დიდხანს დაიცვან სიჩუმე. ტყუილად-კი არ ეძახიან იმათ ციმბირის ფრანგებს. წამ-და-უწუმ წამოხტებოდნენ ხოლმე, ყვიროდნენ, იქნეოდნენ ირგვლივ ბელებს და თითქოს ცეკვავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ. ველურ ყრუ უდაბნოში ასტყდა საშინელი ხმაურობა.

ხეების კენწეროებიდან ყვავები მოუსვენრად, ცნობის მოყვარეობით უცქეროდნენ ახმაურებულ ხალხს. უთუოდ უხვ საშოვარს მოელოდნენ ამტყდარ ალიაქოთისაგან; მაგრამ შესდნენ, რადგანაც აყვირებული, აღელვებული ტუნგუსები მშვიდობიანი, უწყინარი ხალხი იყო. ყვირილისა და ხტუნაობის შემდეგ უცებ გადასწყვიტეს:—ყვავებისათვის არა სასიამოვნოდ,—რომ, აყრილიყვნენ ბანაკიდან და სხვა-და-სხვა



ბარალტაი.



მხარეს წასულ-წამოსულიყვნენ, რადგანაც ერთ ალაგას ჯგუფად რომ დარჩნენ, ავი ბებია არავის არ დაზოგავს. შემდეგ-კი, ზამთარში, როცა ბებია დამშვიდდება, ისევ შეიკრიბებიან ერთ ბანაკად. უკვე აირჩიეს ამისათვის სხვა ადგილი. რასაკვირველია ირმისათვის საკიროა ნორჩი ხავსი და ხალხისათვის-კი—ერთად ცხოვრება. ახლა-კი ბებიას მიზეზით ძალაუნებურად უნდა გასდგომოდნენ გზას.

დასტოვა ხალხმა თავის ურასები, როგორც იყო—ისე, არ დაარღვია და არ წაიღო თან, რადგანაც ძველ ურასს შეიძლება გამოუდგეს ავი ბებია; ზაფხულში-კი არყის ქერტი და ხეები ურასისათვის ყველგან ბევრია. შეკრიბეს ირმები, აჰკიდეს ხანდუკები, ტყავები და სხვა-და-სხვა ხარახურა, ბავშვები მიაკრეს ირმების კეხებს და გასწიეს სხვა-და-სხვა მხარეს. ჯერ, სანამ ბანაკიდან გავიდოდნენ, ბარალტაი გაჩერდა უკანასკნელ ხესთან, მოსკრა გრძელი ჯოხი და ჩაარქო მიწაში. ის ფიქრობდა:

— სად მივდივარ? მივდივარ შორს,—შორს, დიდი,—დიდი მდინარის პირას. მდინარეზე ვაჭრების ტივები დადიან და თევზებიც არის. იქავე ახლოს ტაიგაა, სადაც სამურიც არის, მელიაც. რომ ვინმემ იკითხოს, საით წავიდა ბარალტაი,—როგორ უნდა შეიტყოს სად ვარ. მეც ნიშანს მივცემ, რომ გაიგოს სად წავედი და, თუ საკირო იქნება, მიპოვნის.

ჩაარქო ბარალტაიმ ჯოხი მიწაში, რომ ანიშნოს ყველას საით წავიდა. ჯოხი-კი დალუნა იქითკენ, საითაც მიდიოდა.

„ქვეიანი კაცი მიხედება, სულელისაგან-კი გვიხსნას ტაიგის ავმა სულეზმა.“

მაგრამ ბარალტაიმ ასიც იფიქრა—შეიძლება ქვეიანი კაციც ვერ მიხედეს შორს წავედი, თუ ახლოს:—თუ ჯოხს ცოტათი გადავხრი, —ფიქრობდა ის,—ახლოს დამიწყებენ ძებნას, დავლუნავ ჯოხს სულ მიწამდის, რომ ცისაკენ-კი არა,



არამედ შორს იყურებოდეს. მაშინ სრულიად ბრყვიც-კის იგებს, რომ ბარალტაი ძალიან შორს, შორს წავიდა.

სწორედ ასე მოიქცა ბარალტაი. დაღუნა ჯოხი დაბლა მიწაზე და დამწვდიებული სინილისით გაუდგა გზას.

— რისთვის წავიდა ბარალტაი შორს? — იფიქრებს ხალხი. როგორ არ უნდა უთხრას კაცმა — რისთვის. დიად, საჭიროა უთხრას — რისთვის წავიდა. — დაბრუნდა ბარალტაი ჯოხთან. მოაქრა ხეს ქერქი, დახატა ნახშირით მწოლარე კაცი, ნიშნად ავადმყოფობისა. კაცის სახეზე დახატა შავი წინწყლები: — ყოველი ქვეიანი კაცი მიხვდება, რომ ყვავილია, — სულელისათვის-კი შრომაც არა ღირს; — დაჰკიდა თავის ნახატი ბარალტაიმ ჯოხზე და წავიდა.

გასწია დიდი მდინარისაკენ, რომლის ნაპირებზე ჯერირმებისაგან მოუძოვნელი, უზარ-მაზარი მინდვრები გადაშლილიყო. ამ მდინარეზე ხშირად დადიან საქონლით ვაჭრები. მისცემს იმათ ბეწვიან ტყავებს და სამაგიეროდ მიიღებს ფქვილს, თამბაქოს, ჩაის, თოფის წამალს... თუმცა ბარალტაი არასოდეს არ ყოფილა ამ მდინარეზე, მაგრამ ხალხისაგანაც ჰქონდა გაგონილი და თვითონაც საზრობდა, რომ აქეთ მხარეს უსათუოდ უნდა იყოს დიდი მდინარე. მართლაც რამოდენიმე დღის შემდეგ მიაღწია დიდ მდინარეს, ამოარჩია ადგილი არყებში და შეუდგა ახალი ურასის აშენებას. დასკრა ხარბები, დააყუდა კონუსის მზგავსად, შემოადრო ქერქი რამოდენიმე არყს და შემოაკრა ხარბებს ირგვლივ. ქერქის ნაქრები ხის ტყავის თასით მიაკრა ერთმანეთს. მუშაობაში ცოლ — შვილი შეელოდა. საღამოს ურასი უკვე მზად იყო. ბარალტაი იჯდა ცეცხლთან და ისვენებდა ჯაფისაგან. ცოლი ჩაის ხარშავდა; ბავშვებიც ცეცხლთან თბებოდნენ.

მაგრამ ოჯახში მოწყენილება იყო: მძიმე ნაღველი აწვა გულზე ბარალტაის. საქმელი არაფერი ჰქონდათ. რაც ჰქონ-

დათ შემონახული, გამოვლიათ გრძელი მგზავრობის დროს. და მარტო ჩაით-კი კაცი ხომ მაძლარი ვერ იქნება. მართალია—მდინარეში თევზის დაჭერა შეიძლება, მაგრამ განა ბრალტაის უყვარს შრომა? შრომა—ტყვეობაა, ბარალტაის-კი უყვარს თავისუფლება. მისი საქმე ხეტიალია, ტაიგაში ნადირის საძებრად სიარული და არა თევზის ჭერა. ან-კი რით უნდა დაიპიროს თევზი? ანკესიცი-კი არა აქვს, ახლა ანკესის გასაკეთებლად იზრუნოს? ბარალტაიმ უამისოდაც ბევრი იმუშავა ურასის გაკეთებაზე. არა, უმჯობესია შშიერი დარჩეს. დილით-კი წავა სანადიროდ, დახოცავს ნადირს, თვითონაც სკამს და ცოლ-შვილსაც აკმევს?

მაგრამ როდის იქნება ეს?

ქამა-კი ახლა უნდათ—თვითონაც ტ. ბავშვებსაც. მწუხარე ფიქრები უტრიალებდა თავში. შშიერ ტუნგუსს, რამდენი ხანია აღარ უქამია ირმის ხორცი! ისე ცოტა ირმები-ლა და-რჩა, კარგი-კი იქნებოდა ახლა, ამ მძიმე შრომის და გრძელი მგზავრობის შემდეგ, ხორცი თ პირის ჩაგემრიელება...

უცებ მოულოდნელი აზრით აღტაცებული ბარალტაი ზეზე წამოხტა ცეცხლის პირას, ხელების ქნევით საძოვრისაკენ ცქერა დაიწყა და მოჰყვა ყვირილს:

— ჰოი, შენ, სულელო ირემო, ბებერო ირემო! რისთვის მოდიოდი ასე ცუდად გზაზე? იმიტომ, რომ ბებერი ხარ და სიკვდილი გინდა? ბოროტო ირემო! გინდა, რომ ბარალტაიც მოკვდეს შენტან ერთად შიმშილით? ოჰ, შე საძაგელო ირემო! პატრონისთვის ავი გსურს. ბარალტაი სამაგიეროდ შენ მოგკლავს, გაძღება თვითონაც და ოჯახსაც გააძღობს. მაშინ-კი ყველა იტყვის: ოჰ, რა კარგი, გემრიელი ირემი იყო, ეჰე—ჰე—ჰე!..

თვალეები გაუბრწყინდა; იმის შემხედვარე ცოლ-შვილიც ველურ აღტაცებას მიეცა. როდესაც ველური ყვირილით გუ-

ლი იჯერა, ბარალტაიმ ხელების ქნევით და ხტუნაობით რამდენიმეჯერ შემოუბრუნა ცეცხლს. დიდი, ყურ-მახვილი წვრილ-დრუნჩა ძაღლი, რომელსაც რამდენიმე დღეა არა ექაშია რა, ვრაზმაშად მიხვდა, პატრონმა რაღაც კარგი საქმე მოიგონაო—ერთნაირად გემრიელი, მისთვის და სხვისთვისაც. ის ამ დროს იწვა ცეცხლთან მოშორებით, დაკვირვებით ადევნებდა თვალს პატრონს, იმის ყვირილს, იმის მოძრაობას და ლელავდა; უკანასკნელ ყვირილის დროს წამოვარდა და მხიარული ყეფა ასტეხა. მწუხარების ნიშნად გაისმა ეს ყეფა ირმების საძოვარ მინდორზე. ძაღლი ჰყეფს: სჩანს—ან გზას უნდა გაუდგნენ, ან ერთ-ერთმა ირემმა პატრონს სამსახური უნდა გაუწიოს, შესწიროს თავის სიცოცხლე იმის გასაძლომად. ნეტავი, რატომ არა სჯამენ ადამიანები ამ გემრიელ ხავსს... ყველაფერი ცოცხალი რომ უნდათ!..

ყეფა-კი თან-და თან ახლოვდება. დიად, ნამდვილია: პატრონი ზღრვეება ირმებს, უნდა მოიშყყედოს. შორიდან მოისმის ჰპატრონის ნაცნობი, რიხიანი ხმა: ეჰე, ჰეი! და თვითონაც მობრბის. დაფთხნენ ირმები, გაიქცნენ აქეთ-იქით, მაგრამ ძაღლმა თავი დაუსწრო და გარეკა ურასისაკენ. ურასთან ბარალტაიმ, იმისმა ცოლმა, ბავშვებმა და ძაღლმა მოიმწყყდეს ისინი. დაიჭირა ბარალტაიმ რქებით ბებერი, თითქმის გათვთრებული, ირემი, ჩამოაცუა კისერზე თოკი და წაიყვანა კარავთან. დანარჩენი ირმები ბავშვებმა გარეკეს საძოვარზე. დამნაშავე ბებერ ირემს პატრონის წინააღმდეგობა არ შეეძლო და მძიმე ქმენით მორჩილად მისდევდა; გრძობდა თავის უკანასკნელ წუთებს და საშინლად კანკალებდა... ბარალტაიმ-კი ამოიღო ქაშირიდან გრძელი მახვილი დანა...

ცეცხლის წითელ სინათლეზე, რომელიც აშუქებდა ბნელ საღამოს, ბარალტაი ატყავებდა მკვდარ ირემს. ძაღლი და ბავშვები ისხდნენ იქვე ბარალტის გვერდით, ხარბად ადევნებდნენ თვალს და ელოდნენ თავიანთ ულლუფას. ძაღლი



მოუთმენლად ორინავდა. შემდეგ დაიწყეს ღვინო. დიდი ხნის დაშვებული ველურები სიხარბით ეცნენ ირმის უმ ხორცს და დაუწყეს კამა. გამოხრულ ძვლებს ძაღლს უყრიდნენ; შიგნეულობაც მასვე ერგო. პირველად უმ ხორცს სკამდნენ, შემდეგ-კი დიასახლისმა ხორცი მოხარშა ქვაბში. დიდი ხნის დაშვებულმა ოჯახმა ძაღლიან ბევრი სკამა. გემრიელი, ნოყიერი ვახშმის შემდეგ დაწვენენ და დაიძინეს კარავში.

მარტო ბარალტაი დარჩა გარედ. იჯდა ცეცხლთან და ოცნებობდა. მაძღარმა კუქმა პოეტურად მომართა მისი აზროვნება: დაღლინებდა თავისთვის რაღაც უცნაურ სიმღერას.

— კარგია ადამიანისთვის სიკოცხლე, — ზუზუნებდა გაბმულ ხმით; — ბორცვი ბებერის არ ეშინია, დახეტილობს, სკამს გემრიელ ირმის ხორცს! ყველაფერი აქვს: ჩაი, თოფის წამალი, არაყი, ირმის ხორცი. კარგო ირემო, კეთილო ირემო! შენი ხორცი ბებერია, მაგარი, მაგრამ გემრიელია. კეთილო ირემო, შენ გააძლე პატრონი და მისი ოჯახი. კოტალა დარჩა ბარალტაის შენისთანა კეთილი ირმები.

შემდეგ ბარალტაიც დაწვა. სამ დღეს სკამა ტუნგუსის ოჯახმა ირმის ხორცი და გაათავა. შემდეგ ისევ შიმშილობა დაუდგათ. ისევ მწარე ფიქრები აფუსფუსდნენ საბრალო ბარალტაის თავში. ნეტავი რისთვის მიუტია ღმერთს თავი ადამიანისათვის! იმისთვის, რომ ამაოდ იფიქროს უსარგებლო საგნებზე, საოცნებო ირმის ხორცზე. ფიქრი რომ არ იყოს, ადამიანს არ ეცოდინებოდა ირმის ხორცის გემო და სკამდა მწვანე ბალახს, ირმის ხავსს.

ისევ იჯდა ბარალტაი ცეცხლის პირას და ისევ ფიქრობდა მსოფლიოს უცნაურ მოუწყობლობაზე, გასტკვროდა ხის ფოთლებში ჩამავალ მზეს და ღლინებდა თავის სიმღერას. მღეროდა იმის შესახებ, რასაც ხედავდა ამ წამს.



— არყო, თეთრო არყო! რისთვის სდგებარ აქ. უკვავი შემოძვდარა შენ კენწეროზე, ჩხავის ყვავი, ჩხავის ხმა-მალა. გამოიტანს ბარალტაი თავის თოფს, კარგ თოფს; მოკლავს მჩხავანა ყვავს. წავა ბარალტაი ტაიგაში, შორს, უდაბურ ტაიგაში, დახოცავს ნადირს, გემრიელ ნადირს. გაძღლებს კოლ-შვილს; ტაიგაში ბარალტაი დათვს, დიდ, უზარმაზარ დათვს მოკლავს; ხორცს შექამს, ტყავს მიჰყიდის ვაქარს, რუს ვაქარს. ტყავის მაგიერ მდიდარი ვაქარი მისცემს ფქვილს, ბლითებს, გემრიელ ბლითებს, თოფის წამალსაც და არაყსაც... ბევრ, ბევრ არაყს!

ბარალტაის ძალიან მოეწონა თავისი აზრები: დაიჯერა, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდება, სწრაფად წამოხტა მოჰყვა ხტუნაობას, ხელების ქნევას... და დიდხანს თითქმის მძინირე მდინარეს პირას ისმოდა მისი ზუზუნნი და ჩამავალ მზის წითელ სინათლეზე მოსჩანდა მისი მზიარული ხტუნაობა. დილით-კი გამოიტანა თავისი კარგი თოფი, გულ-მოდგინედ დაათვალიერა. თოფი ერთობ უბრალო იყო: მძიმე, კაფიანი, მსხვილ დაქანგულ ლულიანი, უშნო-კონდახიანი, ბაწრითა და თასმით შეკრული. მაგრამ ბარალტაი საუკეთესო ახალ ძვირფას თოფზე არ გასცვლიდა მას, რადგანაც ეს თოფი პაპისა და პაპის პაპისაგან ნაანდერძევი ჰქონდა და არასოდეს არ უღალატნია მონადირისათვის. ბარალტაი ამ თოფით ციყვს თვალში ახვედრებდა ტყვიას. თოფი გასწმინდა, გაასუფთავა, სადაც საჭირო იყო — ახალი თასმა მოუჭირა. დიდხანს მზადება არ დასჭირებია მხარზე გადაიკიდა სამკერდე თასმა, ზედ ჩამოაბა ნადირობისათვის საჭირო ნივთები: დიდი ნემსი საეზღეს გასაწმენდად, ფრინველის ფრთისაგან გაკეთებული სისტინეოი, რძმლითაც ბარალტაი ხელოვნურად ეძახოდა ფრინველებს, შემდეგ სათოფისწამლე დიდი რქა და ტყვიის საკენეტი ლულია. სარტყელში გარკობილი ჰქონდა დანა. გაიღო მხარზე თოფი, ზიბა ჩაიდანა სარტყელზე და ბარალ-

ტი უკვე სრულიად შეიარაღებული გამოვიდა თავის ურასი-
დან. მისცა ცოლს განკარგულება: ვაქრები თუ მოვიდნენ—
მიეცი ირმისა და რამდენიმე სხვა ბეწვიანი ტყავი; სპავიე-
როდ საქონელი გამოართვიო. უთხრა, —საით მხარეს მიდის
და გასწია შორს, ტყით შავად შეფენილ მთებისა და მთებ
შუა ცის ფერ-გადაკრულ კალებისაკენ.

მხიარული ყვეფით გამოუდგა მას უურ-ცქვიტა ძაღლი.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება).





საქართველოს
წიგნიერების
კავშირები



— მკითხველის — — წერილები. —

ნაკადულის ფოსტა.

ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში (მოზრდილებისათვის) დაბეჭდილი იყო ი. ანთაძის მოწოდება მკითხველების მიმართ ჩვენი ძველი ნაშთების დაცვის შესახებ. ამ წერილის საპასუხოდ ჯერ-ჯერობით შემდეგი ერთი წერილი მივიღეთ დაბა ლაილაშიდან (ლექსუმის მახრა).

რედაქცია.

პირველი ნაშთი.

„სოფელ ორხეში, ლაილაშიდან 20—30 ვერსზე, საღ კლდეზე, გზის პირად—არის ძველი ნაშთი: იგი წარმოადგენს ხელოვნურად გაკეთებულ, გამოქვაბულს. ნაშთი ხელოვნებელია, რადგან კაცს იქ ჩასვლა არ შეუძლია. ხალხში არსებობს თქმულება, რომ ეს ტანჯულ საქართველოს ერთ-ერთ განსაცდელის დროსაა გაკეთებულიო. ამბობენ—დაახლოებით მე-XII საუკუნის უნდა იყოსო. ზედ არავითარი წარწერა და მხატვრობა არ არის. ეს გამოქვაბული აღწერილა გაზ. „აზრ“-ში თავ. ლევან დადემშქელიანისაგან. აქამდის მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

წელს ახალგაზრდა რაქველმა, გვარად მეტრეველი, დასწყვიტა ამ გამოქვაბულში ჩასვლა და მისი დათვალიერება.

ქალაქიდან მოიყვინა რამდენიმე ინგენერი. მოაწყვეს კაცის ჩასაჯდომი ყუთი ბაწრებით, და ისე ჩაუშვეს.

პირველად ჩაუშვეს ეს მკვლევარი ამ წლის 28 აპრილს. მიუახლოვდა ამ გამოქვაბულს, მაგრამ სიბნელემ შეაშინა და შიგ შესვლა ვერ გაბედა. გარედან დაათვალიერა. გამოქვაბული ყოფილა ოთხ ოთახად გაყოფილი; თითო ოთახს ორ-ორი რკინის დიდი საკეტები, ბოქლომები ადვია; ერთი ქვის მაგიდაა შიგ; ისედი, რომ ვერაფეთარი ხელოსანი ვერ გააყეთებსო. გამოქვაბულში საყდარი ყოფილა; რამოდენიმე ქვის სვეტი აქვს. ერთ სვეტზე ოქროს დიდი ლეკური არის ჩამოკიდებულიო. წყალი გადმოდის: ღარი აქვს დაგებული. წინ აუზი აქვს, და შიგ ქრება წყალიო. ერთი ქვის კუბო ყოფილა გამოქვაბულში.

ორხვის მცხოვრებლები ამბობენ: როცა დაღამდება, გამოქვაბულში რაღაც სინათლე ციმციმებსო.

მეორედ, ორ მაისს, სამმა კაცმა დააპირა ჩასვლა გამოქვაბულში. მაგრამ ქუთაისიდან ვილაც უცნობი კაცები მოვიდნენ და ხალხს უთხრეს, რაც გამოქვაბულშია—ჩვენი უნდა იქმნესო. ამაზე ხალხი არ დასთანხმდა, და აღარავინ ჩაუშვეს გამოქვაბულში.

მეორე ნაშთი.

ესეც გამოქვაბულია, ღაილაშიდან ოთხი ვერსის მანძილზე. ალპანისკენ მიმავალ გზაზე—„ორპირში“, იქაც მიუვალ კლდეშია. ხალხის თქმულებით ნაშთი ეკუთვნის მე-XVII საუკუნეს. არც მხატვრობა და არც წარწერა ეტყობა, არც აღწერილია ვისმესაგან. ამბობენ—ბერების ნაღვომი უნდა იყოსო.

მესამე ნაშთი.

ღაბა ცაგერში, (ლეჩხუმის მაზრა), ლაილაშიდან თბუთ-მეტი ვერსის მანძილზე არის აშენებული ერთი დიდი და მეორე პატარა ციხე ნახევრად დანგრეულებია. ხალხი არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმათ... ამ სიმაგრეებზე იყო ორი მათი შესაფერი ზარბაზანი. ეს ზარბაზნები გადმოავგორა და დაისაკუთრა ერთმა ცაგერში მცხოვრებმა თავადიშვილმა. ხალხში თქმულებაა, თითქოს ეს ციხეები ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროს ეკუთვნოდეს. ზედ არავითარი წარწერა და მხატვრობა არ არის. ხალხი ცოტ-ცოტას მიეზიდება იქიდან ქვას. ამ ციხეებში ბალახია ამოსული და ნახირს ამოვებენ. ეს ნაშთებიც არავის არ აუწერია.

ასეთი ნაშთები აქეთ ბლომადია. მათ შესახებაც გავიგებ დაწვრილებით ამბებს და მოგაწოდებთ.“

გრიგ. მუავანაძე.



რედაქცია სთხოვს „შორეულ ჩრდილოეთის“ პატივცემულ ავტორს, შემოიაროს „ნაკადულის“ რედაქციაში ამ მოთხრობის შესახებ მოსალაპარაკებლად. თუ თბილისში არ ბძანდება, იმ შემთხვევაში თავის ადრესი შეატყობინოს.





გამჭრიახი ინდოელი.

ნამდვილად არავინ იცის, როდის და ვინ გამოიგონა ქადრაკის თამაშობა. ვიციტ მხოლოდ, რომ ეს საინტერესო და გონიერი გასართობი უკვე რამდენიმე ათასი წელიწადია, რაც გამოგონებულია. მისი გაჩენის შესახებ ინდოელებს ერთი ძველი თქმულება აქვთ.

ოდესღაც ძველ დროში ცხოვრობდა ამ წუთი სოფელში ინდოელების მეფე სირამი. ბუნებით უხვად დაჯილდოებული იყო; სიმდიდრე აუარებელი ჰქონდა. მის სამეფოში ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა; მაგრამ მხლებლები გაკვირვებით ამჩნევდნენ, რომ მეფეს არაფერი ახარებდა და თან-და-თან უფრო და უფრო ღონდებოდა. ყველა ცდილობდა მეფის გასართობად რაღაც საშვალეება გამოეგონა, მაგრამ ვერაფერი მოიგონეს, და მეფე უწინდებურად გულდაწყვეტილი და შეწყუბებული იყო.

ერთხელ მეფის სანახავად მოვიდა ინდოელი ზისსა—იბნდიირი და სთხოვა ნება მიეტოვებინა მისთვის ახალი გამოგონილი თამაშობა. ეს ქადრაკი იყო.

მეფე უხალისოდ დასთანხმდა.

თამაშობა ისე საინტერესო გამოდგა და ისე მოეწონა მეფეს, რომ ალტაცებით წამოიძახა:

— თუ შენმა თავმა შესძლო ამისთანა თამაშობის გამოგონება, მან დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო! მთხოვე, რაც გინდა, — ყველაფერს აგისრულებ!

— დიდებული ხელმწიფე, — მიუგო ინდოელმა: — მე ბევრი არაფერი მინდა: უბრძანე შენს მზღებლებს დადონ ერთი პურის მარცვალი ქადრაკის დაფის პირველ უჯრაზე, ორი მარცვალი მე-2-ზე, ოთხი მე-3-ზე, და ეგრე სხვებზედაც: ისე, რომ თვითელ უჯრაზე დადებული მარცვლები წინა უჯრისაზე ორჯერ მეტი იყოს.

— ადვილი ასასრულებელია შენი თხოვნა. — სთქვა მეფემ და ჩაეცინა, რადგან საბრალო ინდოელი გულუბრყვილო და მოსულელო კაცად ეჩვენა.

როგორც აღმოჩნდა — ყოვლად ძლიერმა ინდოელების მეფემ მათემატიკაში შესაფერი გამჭრახობა ვერ გამოიჩინა.

მეფემ ბრძანება გასცა აესრულებინათ ინდოელის თხოვნა; მაგრამ, მარცვლების თვლას და წონას რომ შეუდგნენ, მიღე დარწმუნდნენ, რომ ინდოელის თხოვნის ასრულება შეუძლებელი იყო...

საქმე იმაშია, რომ ინდოელმა მოითხოვა იმდენი მარცვალი, რამდენსაც შეადგენს შემდეგი რიცხვების ჯამი:

1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256, 512, 1024, 2048, 4096, 8192 და სხვ.

აქ აღნიშნულია მხოლოდ 14 რიცხვი, და ამ რიცხვების ჯამი შეადგენს იმ მარცვლების ჯამს, რომელიც უნდა დაედოთ მხოლოდ პირველ 14 უჯრაზე; რჩება კიდევ 50 უჯრა, რომელიც კიდევ უნდა შეეცნოთ.

იფიქრეთ, რა ჩქარა დიდდება ეს რიცხვები და ადვილად წარმოიდგენთ, რა უშველებელი რიცხვები შესდგება ბოლოსდაბოლოს ზემოდ მოყვანილ რიგში.

მართლაც, მეფის კარის მათემატიკოსები შეუდგნენ ამ რიცხვის გამოთვლას და გამოიანგარიშეს, რომ ინდოელისათვის უნდა მიეცათ 18,446,744,073,709,551,615 მარცვალი.

გამოირკვა შემდეგი: შესაძლებელი რომ ყოფილიყო მთელი დედა-მინის ზურგის დახვნა-დათესვა და 8 წლის მოსავლის შეგროვება, მაშინაც არ იქნებოდა საკმაო პური გამჭრიახი ინდოელის თხოვნის ასასრულებლად.





წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მდარსიადი იუიდეზა
შემდეგი წიგნები:

- 1) **ტომის თავგადასავალი**, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თხზ ავენაროუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი**, — ფასი 1 მ. 20 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლეი**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** პ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების სარკე**, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი** — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) **იგავ-არაკნი**, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. 75 კ.
- 14) **ბიძია თომას ქოხი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა 1 მ.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ეურნალ

საქართველო
საზოგადოებრივი

„ნაკადული“-ზე

◆ წილიწადი მათი ◆

ეურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელშეღწევით;

წლიური ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-დ გვერდზე.

საზოგადოებრივად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიური ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი „მიწის ძვრა და ცუცხლის მფრქვეველი მთები“ (მრავალა სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ესი ეურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის

24 წიგნი—**3** მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ ნახევარი წლით **4** მ.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ეურნალი „ნაკადული“ არ მისდით. ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრე-სის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუბანიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიისში — ვლ. ნაცვალაძისთან. — შოთში — თეოდორე კანდელაკთან. ბათუმში — კნ. სოფიო ნაკაშიძისთან, ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძისთან. ოზურგეთში & ლანჩხუთში — ლეო იმნაძისთან. თელავში — ცხო პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ვლ. ნე ვლიაშვილთან. გორში — ნინო ლომოურთან. ჯაქეთვეზან ჯავახიშვილთან. სოხუმში — კნ. მარიამ ანჩაბაძისთან. კიათურაში — ივანე გომელაურთან. განჯაში — ბ. ამბოქაძისთან. ერევანში — კ. ოდიშარიძისთან. სტანლში — ნ. ახმეტელაშვილთან. ყარსში — ივ. საათაშვილთან. ალექსანდროპოლში — ს. შატ. ბერაშვილთან. ნახიჩევანში — სამსონ მარჯანიშვილთან. ხონში — მ. ი. ჯავახიძისთან. რაკაში. — მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

1914/15